

ადამ ერალი: "4 იანვრის არჩევნები წინადადებული ნაბიჯია"

გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პრესმდივანს პრესკონფერენციაზე საქართველოს შესახებ დაუსვეს ორი შეკითხვა. ვითაობით ადამ ერალის პასუხს.

- რაც შეეხება საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს, ჩვენ გვჯერა, რომ 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. ჩვენ მივსალმებით ეუთო-ს წინასწარ დასკვნას იმის თაობაზე, რომ ამ არჩევნებში, წინა არჩევნებთან შედარებით, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ქვეყნის საერთაშორისო სტანდარტებთან მიხედვით თვალსაზრისით.

ჩვენ გვჯერა, რომ არჩევნების შედეგები ქართველი ხალხის ნების გამოხატულება იყო, რომელმაც მხარი დაუჭირა მიხეილ სააკაშვილის რეფორმისტულ გეგმებს.

ჩვენ ვაპირებთ, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ ახლად არჩეულ პრეზიდენტთან, რათა ხელი შევეწყუთ ქვეყანაში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, შეერთებულ შტატებთან, ევროპასა და საქართველოს ყველა მეზობელთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას.

მსურს, ისიც აღვნიშნო, რომ ამერიკის ელჩი მაილსი 4 იანვარს, საღამოს შეხვდა სააკაშვილს და გამარჯვება მიულოცა.

ჩვენ ვაპირებთ, ქართველ ხალხთან საპარლამენტო არჩევნების დროსაც ვითანამშრომლოთ, რათა ეს არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით ჩატარდეს.

პოლიტიკა

პარლამენტის რეკონსტრუქციის "აფხაზური" ბაზრძალა

"ვარდების რევოლუციამ" და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებებამ, რომ "ეს არის ბოლო არჩევნები, რომელიც აფხაზეთში არ ტარდება", დევნილი მოსახლეობა იმედინად განწყობილია. **A2**

აქრონომია

დენი - გადახდის მინავლი

გუშინდელი დღიდან საქართველოში სახალხლო-საარჩევნო ენერგოსაჩუქრები აღარ რეგულირდება: "თელასსა" და "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანისა" (გსეკ) დენი ისევ შეზღუდვით მიწოდდება. **A4**

აინფი

თბილისი	12	☁
ქუთაისი	13	☁
ბათუმი	13	☁
სოხუმი	10	☁
ფოთი	13	☁
თელავი	11	☁
ზუგდიდი	12	☁
ბორჯომი	9	☁
ახმეტა	11	☁
ჭიათურა	11	☁
ბაზრა	8	☁
სამცხრადი	13	☁

უხსოვარი ვალდის ოფიციალური კარსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1100
ევრო	2.6615
გირვანქა სტერლ.	3.7602
რუბლი	0.0716

საქართველო საერთაშორისო სტანდარტებს უახლოვდება

მთავარი გამოცდა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე გველის

ვარიკო თაყაიძე

"4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში პროგრესი შეინიშნება, საქართველო საერთაშორისო სტანდარტებს უახლოვდება. თუმცა, ეს არჩევნები ქვეყნის დემოკრატიული პროცესებისადმი ერთგულების ნაწილობრივი გამოცდა იყო," - საერთაშორისო დამკვირვებლები აცხადებენ, რომ მთავარი გამოცდა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისას ელის. უცხოელები 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ნაკლებად მხარეებზეც საუბრობენ: "დამკვირვებელთა მისიის შემოთავაზებითაა პარტიულ და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ნაკლები გამიჯვნის არსებობა და საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში ხელისუფლების სასარგებლოდ არსებულმა დისბალანსმა."

ბაზრძალა A3 ბავარძა



ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ბრუს ჯორჯი (მარცხნივ) ყველა დეტალს ამოწმებს.

საბოლოო შედეგები ორ დღეში გამოქვეყნდება

თამარ მჭედლიძე

გუშინ მთელი დღის მანძილზე ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქებიდან შემოსულ მონაცემებს აჯამებდა. თუმცა, არც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის, არც გამარჯვებულ კანდიდატთან დაკავშირებით, მოულოდნელობები ნამდვილად არ ყოფილა. უკვე უშუაღისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ოფიციალურად გამოაცხადა ის წინასწარი შედეგები, რომელიც კომისიისთვის იყო ცნობილი.

გუშინ უკვე დათვლილი იყო 700 საარჩევნო უბნის მონაცემები, რომლის თანახმადაც, მიხეილ სააკაშვილმა ხმათა 96,7 პროცენტი მოიპოვა. ეს მონაცემები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მთავრდის, საბურთალოს, კრწანისის, ჩუღურეთის, ნაძალადევის, გლდანის, საგარეჯოს, სიღნაღის, დმანისის, კასპის, ახალგორის, ხაშურის, ბორჯომისა და ადიგენის საარჩევნო ოლქებიდან იყო შესული.

ბაზრძალა A2 ბავარძა



ზურაბ ჭიაბერაშვილი არჩევნების შედეგებს ლოკიურად მიიჩნევს.

უნდა გავაკეთოთ ის, რასაც ძველი ხელისუფლება არ აკეთებდა

მაია ჭალაბანიძე

ახალი პრეზიდენტისადმი გამოხატული ლამის დაუფრთხილები სიდიდის ნდობა, ამავე განზომილების ცვლილებების მოთხოვნას ნიშნავს. ამას ერთი ადამიანი, ცხადია, ვერ შეეჭიდება, როგორც მიხეილ სააკაშვილიც არ უნდა იყოს ის. დღევანდელი ჩვენი სტუმარი პრეზიდენტის სადღაც გაუჩინარებული თანამებრძოლი კობა დავითაშვილია. რა გეგმები აქვთ გარემოცვაში, როცა ბრძოლა ასეთი სასტიკი გამარჯვებით დაგვირგვინდა, როგორი იქნება ომი? არჩევნებში მიღწეული გამარჯვება იმასაც ნიშნავს, რომ წინა ხელისუფლება ხალხს სწორედ ამ პროცენტით სძულდა. ახალი ხელისუფლებისთვის ეს სასიამოვნოც არის და საშიშიც... ახლა პირდაპირ პრეზიდენტზე დამოკიდებული, ნდობის ეს პროცენტი გადაკეთდება თუ არა სიძულვილის პროცენტად... **ბაზრძალა B1 ბავარძა**



კობა დავითაშვილი "24 საათის" რედაქციაში.

საპარლამენტო არჩევნების თარიღი კვლავ გაუარკვევლია

ვარიკო თაყაიძე

პოლიტიკურ სექტორში, საპარლამენტო არჩევნების ვადასთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არსებობს. გუშინ "მემარჯვენეებმა" ამ საკითხს საგანგებო პრესკონფერენცია მოუძღვნეს. მათი აზრით, საპარლამენტო არჩევნების ნორმალურად მოსამზადებლად ვადა აუცილებლად მთავრდება უნდა გადაიწიოს. მოგვიანებით, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე კანცელარიაში დახურულ კარს მიღმა საპარლამენტო ფრაქციისა წარმომადგენლებს შეხვდა. ჯერჯერობით, შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება.

"მემარჯვენეების" აზრით, მართის თვისთვის დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების ჩატარება წარმოუდგენელია, ვინაიდან ასე მოკლე დროში პარტიები საარჩევნო კამპანიის წარმოებას ვერ მოასწრებენ. მეორეც, ვერ მოხერხდება "4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების არსებული სერიოზული ხარვეზების გამოწვევები". სერიოზული ხარვეზების გამოწვევებში "მემარჯვენეები", უპირველესად, ახალი ნორმალური სივრცის მომზადებას და საარჩევნო ადმინისტრაციის პარტიულ საწყისებზე დაკომპლექტებას გულისხმობენ. როგორც ფიქრია ჩხრაძე შენიშნავს, ეს ხარვეზები "დაბალკონკურენტულ საპრეზიდენტო არჩევნებისას ნაკლებ სირთულეებს ქმნის", მაგრამ საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში სულ სხვა ვითარება შეიქმნება და საბოლოოდ ოპოზიცია დაზარალდება.

ბაზრძალა A2 ბავარძა

რა ელის „გსეკ“-ს?

გამოადგება თუ არა "გსეკ"-ს ფინანსური "შავი ხვრელების" ამოკლება "თელასისული" რეცეპტით

მაია ურუშაძე

მაშინ, როცა თბილისის განათება დღეს მხოლოდ "თელასის" "რაოელი" მენეჯერების მართვათაზე დამოკიდებული, რეგიონების განათებას, სამწუხაროდ, "გსეკ"-ის ამერიკელი მენეჯერების თავგამოებულება ვერ უშველის. საქმე ისაა, რომ ენერგოკომპანიაში, ჯერჯერობით, ვერ უზრუნველყო დენის საფასურის ამოღების მაჩვენებლების ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ციფრები შარშანდელ მონაცემებს საგრძნობლად აჭარბებს, ეს მაჩვენებლები ვერ მაინც შემაშფოთებლად დაბალია და ამიტომ, საბოლოო ბაზარი კომპანიისთვის დენის ლიმიტების გაზრდას, ჯერჯერობით, არ აპირებს.

ის, რომ დენის პრობლემა ერთი ხელის დაკვრით არ მოგვარდება, აშკარაა. ექსპერტები უკვე დიდი ხანია, თანხმდებიან, რომ ენერგეტიკული პრობლემების მოგვარება ყველაზე დაბალი რგოლებიდან - უშუალოდ მისი გამანაწილებელი კომპანიებიდან უნდა დაიწყოს. თავის დროზე სწორედ ამ გადაწყვეტილების პირველი გამოცდის იყო თბილისის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის - "თელასის" გაყვითლება. ექსპერტები მაშინ ამ ორგანიზაციაში ინვესტიორის შემოყვანით აღრიცხვიანობის მოწესრიგებასა და, შედეგად, დარგის შემოსავლების ზრდას ელოდნენ.

მოლოდინმა გაამართლა და "თელასის" **ბაზრძალა A4 ბავარძა**

დსთ-ს სადამკვირვებლო მისიის შეფასება

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლები ოთხი იანვრის არჩევნებს "დემოკრატიულს და სამართლიანს" უწოდებენ. დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი იური იაროვი კი აცხადებს, რომ კენჭისყრის პროცესი მხოლოდ მცირე დარღვევებით წარიმართა, თუმცა ეს საარჩევნო ადმინისტრაციების წევრთა არაკომპეტენტურობის ბრალი იყო. "მთლიანობაში კი, მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, არჩევნები კონსტიტუციის ჩარჩოებში ჩატარდა".



იური იაროვი სტანდარტულ შეფასებებს აკეთებდა 2 ნოემბერსაც და 4 იანვარსაც. სტრუქტურებისა და საარჩევნო ადმინისტრაციების მხრიდან, ხოლო არჩევნების დღეს ისინი თავიდან ბოლომდე აკვირდებოდნენ კენჭისყრის პროცესს და დსთ-ს მისიის წარმომადგენლები 62 საარჩევნო ოლქის 370 საარჩევნო უბანზე იყვნენ განაწილებულნი.

"საქართველოში რიგგარეშე საარჩევნო არჩევნები, წინა არჩევნებთან შედარებით, გაცილებით უკეთესად ჩატარდა. არჩევნების მიმდინარეობისას მცირედით დარღვევები იყო, მაგრამ ამან საბოლოო შედეგებზე გავლენა არ უნდა მოახდინოს," - ეს ის წინასწარი დასკვნაა, რომელიც იური იაროვი ოთხი იანვრის არჩევნების მონიტორინგის შემდეგ გააკეთა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ოფიციალურ შედეგებს დსთ-ს დამკვირვებლები მას შემდეგ გამოაცხადებენ, როცა ცესკო კანდიდატების ხმათა პროცენტულ რაოდენობას შეაჯამებს.

და კიდევ, თანამეგობრობის დამკვირვებლები დადებითად აფასებენ იმ ფაქტსაც, რომ ეროვნული უმცირესობები დასახლებულ რეგიონებში მათ საარჩევნო ბიულეტენები ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილი დაურთვედათ. ისინი კმაყოფილები არიან იმითაც, რომ მიუხედავად მოსახლეობის არცაუ მაღალი აქტიურობისა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არჩევნები ჩატარდა. და ბოლოს, დსთ-ს მაღალჩინოსანი დიპლომატები ჩვენთვის რჩევებსაც არ იშურებენ და აცხადებენ, რომ საჭიროა კანონმდებლობის "შემდგომი დახვეწა და გადემოკრატილება".

საქართველო საერთაშორისო სტანდარტებს უახლოვდება

იური იაროვი

"საქართველო იმედების ქვეყანაა. ამ არჩევნებმა ხალხს იმედი დაუბრუნა. ახალ მთავრობას აქვს შესაძლებლობა და, რაც მთავარია, ვალდებულება, გაუფრთხილდნენ ამ იმედს. დრო მცირეა, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები იქნება ახალი მთავრობის ნამდვილი გამოცდა, - ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელის მათიას იორმის გამოცხადებით. ემოციების ნაკლებობა არ შეიძლება, - 4 იანვარს საქართველოში ღმერთი იყო..." იგივე იორმი არც კრიტიკას დარიდებია: "ეს არჩევნები არ იყო სრულყოფილი. პოლიტიკურად კონკურენტული გარემო არ შეიქმნებოდა. არსებობდა სხვა პრიორიტეტები, რომელიც ქვეყნის ისტორიიდან მომდინარეობს. 4 იანვარს ბიულეტენებს ტენიდან საარჩევნო ყუთებში, თუმცა იმ ტემპით არა, როგორც ეს წინა არჩევნებისას ხდებოდა. დროის სიმცირის გამო, ამომრჩეველთა სია არ იყო სრულყოფილი. აღნიშნული სიები მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის არ გამოდგება. ამ არჩევნებისას ზოგიერთმა ძველმა არჩევნებმა შეგვახსენა თავი. მაგალითად, ამჟამინდელი ცესკო-ს შემადგენლობა ხელისუფლების სასარგებლოდ არის დაკომპლექტებული," - მათიას იორმი იმედოვნებს, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო კომისიები დემოკრატიული იქნება. იორმის აზრით, დღევანდელი პარლამენტი ბევრის ფორმულა უნდა გააუქმოს, ვინაიდან თუ ამ სქემის წინა ხელისუფლება თავის სასარგებლოდ იყენებდა, ახლა იგივე ცდუნების წინაშეა დღევანდელი ხელისუფლება.

აცხადებს, რომ საქართველო მას შემდეგ მოახერხებს გახდეს ევროპის ნაწილი, როცა ხელისუფლება სერიოზულ პოლიტიკურ ცვლილებებს განახორციელებს და ქვეყანაში არსებულ ვითარებას შეცვლის. ვოლჩის აზრით, "სახელისუფლებო სტრუქტურებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რუსეთის ბაზებს ეხება".

უცხოელ დამკვირვებელთა მისიამ სასტუმრო "მეტეხში" გამართულ გუშინდელ შეხვედრაზე კრიტიკულად შეაფასა აჭარის რეგიონის ხელისუფლების დამოკიდებულება 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისადმი: "კრიტიკის იმსახურებს აჭარის რეგიონის ხელისუფლების მიერ გამოჩენილი გულგრილობა იმ ვალდებულების მიმართ, რომელიც დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად საჭირო პირობებს უზრუნველყოფს".

"ხელისუფლებამ დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად პოლიტიკური ნება გამოავლინა, რაც განსაკუთრებული დარღვევებით ჩატარებული 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა", - ოპტიმისტურ დასკვნას აკეთებს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ბრუს ჯორჯი. იმავე ჯორჯის უფრანკლისტმა მოსოხოვა, 4 იანვრის არჩევნების ჩატარებულ ჩვენი ქვეყნისთვის ნიშანი დაუნერა. "ოთხი მინუსით", - ასეთი იყო აკადემიკოს ჯორჯის პასუხი. ბრუს ჯორჯი იმედოვნებს, რომ თუ ხელისუფლება უცხოელთა რეკომენდაციებს გაითვალისწინებს, მომდევნო საპარლამენტო არჩევნებს იგი წარმატებით ჩატარდება.

და ბოლოს, უცხოელ დამკვირვებელთა მისიამ გუშინდელ შეხვედრაზე ქართველ საზოგადოებას ერთი რამ შეახსენა: "ჩვენ აქ იმისთვის არ ვიყოფიერებთ, რომ რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებას დავეხმარო, ჩვენი სურვილია, ქართველ ხალხს დავეხმარო დემოკრატიული პროცესების განხორციელებაში".

მოკლედ

აკაკი ასათიანი ოპოზიციონერად ყვანიამ დანიშნა

ევამ-ს ყოფილი ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია მომხრე შეიქმნას რეალური ალტერნატიული გაერთიანება, რომელიც ბოიკოტს გამოუცხადებს საპარლამენტო არჩევნებს. სარიშვილი-ჭანტურია მიიწვევს, რომ მძლავრი ოპოზიციური გაერთიანება აკაკი ასათიანისგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან "ტრადიციონალისტთა კავშირი" ხელისუფლების ოპოზიციად "ყვანიას მიერ არის დანიშნული". შეგახსენებთ, რომ ასეთი ოპოზიციური გაერთიანების შექმნის მიზნად "ტრადიციონალისტთა კავშირი" გამოვიდა. ასათიანი სააკაშვილის წინააღმდეგ გამოდის იმ ფორმით და სიტყვებით, რისი უფლებაც ყვანიასგან აქვს მიცემული, - განაცხადა სარიშვილი-ჭანტურია. მომავალ საპარლამენტო არჩევნების მარტში ჩატარებას იგი დაუშვებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ის არაკონკურენტუნარიანი გარემო, რომლის პირობებშიც საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, საპარლამენტო არჩევნებამდე არ უნდა შენარჩუნდეს. **მედია-ნუსი**

ერთ თარგზე მოჭრილი შეფასებების ნამდვილი მიზანი

სოფო ბაქია

"19 თებერვალს სომხეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები თავისუფალი, გამჭვირვალე, დემოკრატიული, სამართლიანი და ლეგიტიმური იყო. საპრეზიდენტო არჩევნებმა საარჩევნო კანონის სრულად დაცვა და არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩასატარებლად. დაფიქსირდა მცირე დარღვევები, რომელთაც საერთო საარჩევნო პროცესზე არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ."

"15 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანში ჩატარდა თავისუფლად, დემოკრატიულად და ღირსად. ამას ხელი შეუწყო საარჩევნო კანონმდებლობამ, რომელიც ვეროპულ სტანდარტებთან შესაბამისი იყო. დარღვევები არ ატარებდა მასობრივ ხასიათს და, ამდენად, მათ არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ მოქალაქეთა თავისუფალ არჩევანზე."

"ვთვლით, რომ საქართველოში 2 ნოემბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები უფრო დემოკრატიულია, ვიდრე წინამორბედი არჩევნები... ეს არის დემოკრატიისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. არჩევნების ფორმები და მეთოდები კანონისა და ეთიკურ ნორმებს შეესაბამებოდა. იყო ცალკეული გამონაკლისები, რომლებსაც გლობალური ხასიათი არ აქვინდათ."

"საქართველოში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები წინა არჩევნებთან შედარებით უკეთესად ჩატარდა. არჩევნების მიმდინარეობისას მცირედით დარღვევები იყო, მაგრამ ამან საბოლოო შედეგებზე გავლენა არ უნდა მოახდინოს."

საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ ტოტალურად გაყალბებულად გამოცხადებული სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნები, აზერბაიჯანის არჩევნები, სადაც პეიდარ ალიევის საპრეზიდენტო ტახტზე მისი მემკვიდრის დასმის ორი ადამიანის სიცოცხლე და ათობით ადამიანის ჯანმრთელობა შეწირა, საქართველოში 2 ნოემბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, რომელთა შედეგებმაც ქვეყანაში რევოლუციის პროვოცირება შეძლო - ყველა ეს არჩევნები, დსთ-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის იური იაროვის შეფასებით, "დემოკრატიული, ღია და სამართლიანი" აღმოჩნდა. იაროვმა არ დი-

ხარა და ზუსტად ასეთივე "დემოკრატიული" აღიარა და სამართლიანად გამოაცხადა 4 იანვარს საქართველოში ჩატარებული რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებიც. მოკლედ, იური იაროვის ყველა არჩევნები ერთნაირად მოეწონა. რა თქმა უნდა, არავინ ელოდა, რომ დსთ-ს დამკვირვებლები განსაკუთრებულად გამოყოფდნენ 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს, რომლებიც დემოკრატიის მწვერვალი თუ არა, დსთ-ს სივრცისთვის ნამდვილად არაორდინარული იყო, და ამის ძალიან მარტივი მიზეზები არსებობს.

საქართველომ თავისი "ვარდების რევოლუციით" უკვე ისედაც უარყოფითად იმოქმედა დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნის "შევიდ" ცხოვრებაზე, სადაც ავტორიტარულ ხელისუფლებასთან ერთად, საკმაოდ დიდი კრემლის გავლენაც. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ 45 დღეში ორგანიზებული საპრეზიდენტო არჩევნების განსაკუთრებით გამოყოფა კი ქართული მაგალითის გადადგმვლას კიდევ უფრო გაამძაფრებს. კრემლში კარგად იციან, რომ საქართველოში დანაცვლელ დემოკრატიულ პროცესებზე შეიძლება, კავკასიისა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში "შეწირონ" მოსკოვის ზურგით სკამგამარტებული რეჟიმები. დემოკრატიული კავკასია კი, ერთპარ-

ტიულ რუსეთს დღეს ყველაზე ნაკლებად აძლევს ხელს. მოაგვიხსენებთ რა, რომ იაროვის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული დამკვირვებელთა მისია მონდობილი არა არჩევნების მონიტორინგის განსახორციელებლად, არამედ იმ განსხვავების აღმოსაფხვრელად, რაც დსთ-ს ამა თუ იმ ქვეყანაში არჩევნების პროცესში დიფიქსირდება. რუსეთი ცდილობს, დსთ-ს ყველა ქვეყანა ერთ სიბრტყეში წარმოაჩინოს, სადაც ყველა ერთნაირად "დემოკრატიული, ღია და სამართლიანი" არჩევნები ტარდება და ამით დსთ-ს არსებობის განხარგრძობისა და იქ საკუთარი გავლენის შენარჩუნების იმედი აქვს. მწელი წარმოსადგენია, რომ დსთ-ს დამკვირვებელთა მისიამ, რომელიც არჩევნებში მონიტორინგის განხორციელებით, უბრალოდ, ცდილობს წარმოიჩინდეს, როგორც სერიოზული, სოლიდური ორგანიზაცია, ეუთო-ს, ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან გვერდით, პოსტსაბჭოთა სივრცის დემოკრატიზაციის პროცესზე რაიმე ზეგავლენა იქონიოს.

მომავალი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში უფრო დანიშნული არ არის, მაგრამ მწელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა შეფასებას მისცემს ამ არჩევნებს იური იაროვი.

რატა-ლერსუი

ჯეოსელის დაფარვის ზონა

საქართველოს ტერიტორიის დასახლებული ტერიტორიის 70%

საქართველოს ტერიტორიის დასახლებული ტერიტორიის 94%

მაგისტრალური გზების დაფარვა

ტყვივლი-ამბროლაური-ონი 99%

ამბროლაური-საბარი-ლენტეხი 90%

2002 18%

2003 60%

დასახლებული ტერიტორიის დაფარვა

- არსებული დაფარვის ზონა
- დასახლებული კონტაინი
- სატრანსპორტო გზები
- საკომუნიკაციო გზები

www.geocell.ge

ნატო-ს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ბინ ლადენი ისევ იმაჟინება

გუშინ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსის ახალი გენერალური მდივანი ჩაუდგა სათავეში. ლორდი ჯორჯ რობერტსონი ჰოლანდიის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იან დე ჰოოპ სხეფერმა შეცვალა. დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ახალ გენერალურ მდივანს იმ სერიოზული წინააღმდეგობების დაძლევა მოუწევს, რომელმაც ერთ-ერთი ომის გამო, ნატო-ს წევრებს შორის იჩინა თავი.



იან დე ჰოოპ სხეფერი

იან დე ჰოოპ სხეფერი გამოცდილი დიპლომატი. ექსპერტები მის ყველაზე დადებით თვისებად კონფლიქტების თავიდან აცილების უნარს თვლიან. ეს კი უმთავრესი იქნება იმ მიზნის მისაღწევად, რასაც ნატო-ს წევრებს შორის თანხმობის და ურთიერთგაგების აღდგენა ჰქვია.

ნატო-ში სერიოზული განხეთქილება საფრანგეთისა და გერმანიის პრინციპულმა პოზიციამ წარმოშვა, როდესაც ორივე ევროპულმა ქვეყანამ ერთად სამხედრო კამპანიაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ, თითქოს, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მაგრამ ევროპელებმა სულ ცოტა ხნის წინ გამოთქვეს სერიოზული ევროპის შექმნის თაობაზე. ამან კი გაზინტონის აშკარა გაღიზიანება გამოიწვია. თეთრმა სახლმა პირდაპირ განაცხადა, რომ ევროკავშირის შეიარაღებული ძალების შექმნა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დაშლისკენ მიიწოდებს.

ენ მიმართული ლინისძიებაა. სხეფერს პირველ რიგში ეს პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. გარდა ამისა, ახალმა გენერალურმა მდივანმა ალიანსის წინაშე მდგარი სამხედრო ამოცანებიც უნდა შეასრულოს. კერძოდ, საუბარი შეეხება ევროპული ქვეყნების შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის პროგრამას, რომელიც ჯერ კიდევ ლორდი რობერტსონის გენდერის ეპოქაში დაიწყო. ამასთანავე, ავღანეთში მოსაგვარებელი მხარე პოლიტიკური ვითარებაა. იქ მდგარ ნატო-ს სამხედრო კონტინგენტს ახალი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისათვის ახალი აღჭურვილობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადართობა სჭირდება.

ზოგიერთი ექსპერტი პირდაპირ აცხადებს, რომ ნატო-ს რესურსების უდიდესი ნაწილი ერთი კამპანიაზე იხარჯება. ეს კი ალიანსის წინაშე მდგარი სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების დროულად გადაჭრას აფერხებს. არ გამოირიცხავს, რომ გაზინტონი ევროპელებს ერთ-ერთი კამპანიაში წილის გაზრდას მოსთხოვს. დამკვირვებელთა ვერაუდით, ეს 2004 წლის ივნისში ნატო-ს სამიტზე მოხდება, როდესაც 19 სახელმწიფოსგან შემდგარ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს შეიძლება ახალი წევრი შეემატება. ამდენად, იან დე ჰოოპ სხეფერს წინ დატვირთული სამუშაო ელის.

ევროკავშირის წინააღმდეგ დანაღვლიანი წარმოებით ბრძოლა გრძელდება

გუშინ ევროპარლამენტში ერთ-ერთი უმსხვილესი პოლიტიკური ორგანიზაციის – ევროპის სახალხო პარტიის ლიდერმა, გერმანელმა ქრისტიან-დემოკრატმა პანს პურტ პოტერინგმა დანაღვლიანი კონვერტი მიიღო. მართალია, გახსნის შედეგად ბოძი აფეთქდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არავინ დაზარალდა. **„განაღვლე, მაგრამ არავინ დაზარალდება“** - განუცხადა სააგენტო „როიტერს“ ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენელმა რობერტ ფიცკერმა. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ევროპარლამენტში დანაღვლიანი კონვერტის გაგზავნის ეს უკვე მეხუთე შემთხვევაა. ასეთი წერილები ევროკომისიის პრეზიდენტის რომანო პროდის, ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის ჟან-კლოდ ტრიშეს და ევროპოლის ხელმძღვანელების მისამართით გაიგზავნა.

სამიზნეთა სიაში პირველი - რომანო პროდი აღმოჩნდა. პროდი, ძირითადად, ბრიუსელში ცხოვრობს, მაგრამ საშობაო დღეებს იგი საკუთარ სახლში ატარებდა. ევროკომისიის პრეზიდენტის პრეს-მდივნის თქმით, ამანათი იდო ნიგნი, რომელიც ასაფეთქებელი ნივთიერება იყო ჩამონტაჟებული. ეს ნიგნი 1938 წელს გარდაცვლილი იტალიელი მწერლის, გაბრიელე და ანუ-უტის რომანი აღმოჩნდა. დანაღვლიანი ბენტიო მუსოლინის მომხრე იყო. თუმცა, ძველი სათქმელია, რისი თქმა სურდა ამით ტერაქტის ორგანიზატორს. გამოძიება უკვე დაიწყო, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეიძლება იდგეს თავდასხმის მცდელობის უკან. სამართალდამცველები მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ამანათები პროფსიონალის დამზადებული არ უნდა იყოს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც პროდი და ვერც პოტერინგი თავდასხმას ასე იოლად ვერ გადაურჩებოდნენ.

სამართალდამცველები და ევროპის სპეცსამსახურები ერთ-ერთ ძირითად ვერსიად იტალიელ ანარქისტებს განიხილავენ. აქამდე უცნობმა „არაფორმალურმა ანარქისტულმა კავშირმა“ გაზეთ „ლარეპუბლიკა“-ს სახელზე გაგზავნილი ანონიმური წერილი განაცხადა: „პროდის იმიტომ ვებრძობა, რომ იგი ევროპის ახალ ტოტალურ რეჟიმს განასახიერებს.“

ინდოეთისა და პაკისტანის ლიდერების შეხვედრა

გუშინ პაკისტანის დედაქალაქში ინდოეთისა და პაკისტანის ლიდერების, პრემიერ ვაჯპაისის და პრეზიდენტ მუშარაფის შეხვედრა გაიმართა. ამ შეხვედრას დიდი ინტერესით მოელოდნენ, რადგან ბოლო ორი წლის მანძილზე ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მეთაურები პირველად მიუსხდნენ მოლაპარაკებების მაგიდას. შეხვედრა ისლამაბადში მიმდინარე სამხრეთ აზიის ქვეყნების სამიტის პარალელურად გაიმართა. შეხვედრის წინ მხარეთა წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ეს დიალოგი მხოლოდ „თავაზიანობის გამო“ იმართებოდა. პაკისტანის ინფორმაციის მინისტრმა საერთაშორისო განაცხადა შეხვედრის თემატიკის კომენტარებზეც კი იმ მოტივით, რომ სხვაგვარად ცუდი სამსახურს გაუწევდა ორივე ქვეყანას. პაკისტანის ხელმძღვანელობის სიფრთხილე გასაგებია. გასულ თვეში მუშარაფი ორჯერ ზენეზე გადასურა მასზე განხორციელებულ თავდასხმებს, რომლებშიც რადიკალ ისლამისტებს ადანაშაულებენ. უფრო ოპტიმისტურად ჟღერდა



პრემიერ ვაჯპაისი და პრეზიდენტ მუშარაფის შეხვედრა.

ვაჯპაისის შეხვედრისწინა განცხადება: „ორივე მხარე უნდა გააცნობიეროს ერთმანეთის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები მოძებნოს.“ შეხვედრის დასრულების შემდეგ ოფიციალური პირები ძალზე ზოგადი განცხადებით შემოიფარგლენ და ჟურნალისტებს მხოლოდ ის უთხრეს, რომ შეხვედრამ გულთხად ატმოსფეროში ჩაიარა. ყურნალისტები ამ კომენტარიდან კმაყოფილი დარჩნენ, რადგან ინდოეთი და პაკისტანი პრობლემებს იარაღის მეშვეობით უფრო ხშირად აგვარებენ ხოლმე, ვიდრე დიალოგის გზით. ბოლო 50 წელიწადში მათ თხუთმეტი ომის განხორციელება მოხდა. მათ შორის ომის პერმანენტული საფრთხე საერთაშორისო საზოგადოებისათვის განსაკუთრებით შემაშფოთებლად მას შემდეგ იქცა, რაც ორივე სახელმწიფო ბირთვული იარაღის მფლობელი გახდა. 2002 წელს ისინი ძალიან ახლოს იყვნენ მორიგ ომთან, თუმცა მაშინ საერთაშორისო შუამავლობამ გაჭრა და მხარეები მშვიდობიანად დაცლიდნენ ერთმანეთს.

სარსი დაბრუნდა

ატიპური პნევმონის, იგივე სარსის შემთხვევა ჩინეთში ოფიციალურად დადასტურდა. ამის თაობაზე გუშინ ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, მას შემდეგ, რაც ტელევიზიის 32 წლის პროდიუსერს ანა-ლიზურ გამოკვლევა ხელმოკრულ გაუტარეს. ის რამდენიმე დღის წინ ჩუანდუნის პროვინციაში იქნა ჰოსპიტალიზებული. ატიპური პნევმონის შემთხვევა ზაფხულის შემდეგ აღარ განხორციელებულა. 2003 წელს კი ვირუსმა ჩინეთში 349 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ხოლო მთლიანად მსოფლიოში ამ დაავადებით 774 ადამიანი დაიღუპა. გუანდუნის რესპირატორულ დაავადებათა ინსტიტუტის დირექტორი ჩუენ ნანსანი აცხადებს, რომ ვირუსი, რომელიც ტელეპროდიუსერს აღმოაჩნდა, 2002 წელს აღმოჩენილი ატიპური პნევმონის ვირუსისგან მხოლოდ მცირე სიმ-

ტომებით განსხვავდება. ისინი თითქმის იდენტურია. ამასთანავე, მეცნიერები ხაზს უსვამენ, რომ ატიპური პნევმონის ხელახლა დაბრუნებულ ვირუსს ძალიან ჰგავს იმ ვირუსს, რომელსაც მანგუსტისებრთა ოჯახის კატისმაგვარი პატარა ცხოველები – ვივერები ატარებენ. მათი ხორცი კი ჩინეთის ბევრ რაიონში დელიკატესად ითვლება. გუანდუნის პროვინციაში ათასობით

ვივერი დახოცეს. აღსანიშნავია, რომ ვივერი, რომელიც ძალიან წააგავს მანგუსტებს, წითელ ნიგნშია შეტანილი. თუმცა, ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ვირუსის გამავრცელებლობა არა მხოლოდ ვივერების შეიძლება იყვნენ, არამედ - იხები, ღორები და ვირთხებიც. 32 წლის ტელეპროდიუსერმა ექიმებს განუცხადა, რომ დაავადებამდე მას ვივერის ხორცი არ უჭმია, თუმცა ხელით შეხებია ვირთხას. გუანდუნის მთავრობა მთავარ დამნაშავედ მაინც ვივერებს მიიჩნევს და გადაწყვეტილება მიღებულია უახლოეს დღეებში პროვინციაში ათი ათასამდე ვივერი მოკვდეს. ამასთან დაკავშირებით, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია აცხადებს, რომ ამ ღონისძიების გამო, შესაძლოა ვივერებით მოვარდნილი იატაკქვეშ გადავიდნენ და ამ პროცესის გაკონტროლება უკვე რთული იქნება.

ვივერებთან ბრძოლა დაწყებულია.

სარსი დაბრუნდა

ამერიკიდან ამერიკაში შემოსულთა უმეტესობას თითების ანაბეჭდვად სურათს გადაუღებენ. ეს ზომა შეეხება ამერიკაში ჩამსვლულ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, გარდა ევროპის ქვეყნებისა, რომელთაც აშშ-ს გამართვებული სავიზო რეჟიმი აქვს. თითების ანაბეჭდვის აღება მოხდება 115-ვე საერთაშორისო აეროპორტში, 15 სახელაო პორტსა და 50 სახელეთო საკონტროლო-გამგებ პუნქტზე. ახალი ზომა შეცვლის რეგისტრაციის სტანდარტს პროგრამას, რომელიც, როგორც ამბობენ, დისკრიმინაციული იყო მუსულმანებისა და არაბების მიმართ. თუმცა, ბევრს არც თითების ანაბეჭდვის აღება მოსწონს. მაგალითად, ბრაზილიდან ამერიკელების მიერ შემოღებულ ამ ზომას მამინვე საპასუხოდ ნაბიჯით უპასუხა: აშშ-ს ყველა მოქალაქეს ბრაზილიაში თითების ანაბეჭდვის აუღებენ და ფოტოებს გადაუღებენ. ტურისტულმა სააგენტოებმა უკვე გამოთქვეს უკმაყოფილება ახალ პროგრამასთან დაკავშირებით. ყველა ფორმალურად, რომელიც მგზავრობას აჭიანურებს და ნაკლებად სასიამოვნო ხდის, მათ მუსულმანებზე უარყოფითად მოქმედებს. ამერიკის უსაფრთხოების სამსახურები აცხადებენ, რომ ახალი რეგისტრაციის დროსაც მოხდება, საიმიტომაც სამსახურს ზუსტად ეცდიენება, ვინ როდის შეუძლია და გავიდა ქვეყნიდან და თუ აქვთ ჩადენილი მათ რამე დანაშაული შემოსვლამდე ან ქვეყანაში ყოფნის მომენტში. ამ ზომების ოპონენტები კი აცხადებენ, რომ სტუმრებისაგან თითების ანაბეჭდვის აღება კიდევ უფრო გაზრდის მთელ მსოფლიოში ისედაც გავრცელებულ ანტიამერიკულ განწყობილებას და ამით ამერიკელებს კიდევ უფრო ადვილად საფრთხის წინაშე დააყენებს.

უბრალო ორგანიზაციები ევროკომისიის წინააღმდეგ

ორმა გაკლენიანმა ებრაულმა ორგანიზაციამ ოფიციალური წერილი გამოაქვეყნა, სადაც ევროკომისიის ანტისემიტობის გაღვივებაში დებენ ბრალს. წერილს ხელს აწერენ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი ედვარდ ბრონფმანი და ევროპის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი კობი ბენალოფი. **„უმოქმედობა ანტისემიტობის ისტორიულად შექმნილი ებრაელთა უფლებების დაცვას“** - ნაიქვეყნა წერილი, რომელიც გუშინ გაკლენიანმა გაზეთმა „ფინანსალ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა. ბრონფმანი და ბენალოფი ამ ბრალდების საფუძველად ორ სერიოზულ სკანდალს მიიჩნევენ და ორივეს გამოხატავენ ევროკომისიის უყურებენ. ერთის მხრივ, ისინი ეყრდნობიან იმ გამოკითხვის შედეგებს, რომელიც ევროკომისიამ გასული წლის ნოემბერში გამოაქვეყნა. შედეგების მიხედვით, ევროპაში ებრაელების 59-მა პროცენტმა ისრაელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ყველაზე დიდ საფრთხედ დაა-

სახელა. მეორე მიზეზად კი წერილის ავტორები იმ გამოკვლევას ასახელებენ, რომელიც რასიზმისა და ქსენოფობიის გამოვლენის კონტროლისათვის შექმნილი ევროპული ცენტრის დეპარტამენტი ანტისემიტობის კვლევების დეპარტამენტთან ერთად, ევროპაში ანტისემიტობის გაძლიერება, პირველ რიგში, მუსულმანთა მიერ განხორციელებული ანტისემიტობის გამომწვევით არის განპირობებული. **„ორივე ეს ნაბიჯი პოლიტიკურად იყო მოტივირებული და პატიოსნების და ნების დეფიციტზე მიუთითებს“** - ხაზგასმით ნათქვამია წერილი.

რუსეთმა მონღოლეთს ვალები აკატი

ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთმა საკუთარი ისტორიაში უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა. ფედერაციის ხელი-სუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მონღოლეთისთვის ჩამოეწერა ის ვალი, რომელიც უკანასკნელი ომისმოცი წლის განმავლობაში გროვდებოდა. მონღოლეთის დაგა-ლიანების მოცულობა ათ მილიარდ ამერიკულ დოლარს უტოლდება. რაც ათჯერ მეტია, ვიდრე ამ სახელმწიფოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. ასეთი მსხვილი დავალიანება რუსეთს პირველად ეპატია. ექსპერტები უარაუბლებენ, რომ ორ სახელმწიფოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები ვალის ჩამოწმის შესახებ დადგინდა და მიმდევ მიმდინარეობდა. დღემდე ფედერაციის მიერ კუბისა და სირიისთვის ჩამოწმული ვალი მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, ვიდრე ეს მონღოლეთის შემთხვევაში. სხვათაშორის, თავის დროზე მონღოლეთს პირველი იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის სატელიტ რესპუბლიკად იქცა, რის გამოც ის ყოველთვის შეუზღუდავი რაოდენობით ღირებულება ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას საკუთარი „უფროსი ძმისგან“. 1991 წლიდან რუსეთმა უარი განაცხადა ულან-ბატორისთვის ნებისმიერი სახის დახმარებაზე და იმავე წელს დიხყო მონღოლეთის ხე-

მსოფლიოს ჰანმრთელობა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) წარმოადგინა გასული წლის ანგარიში პლანეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და აქცენტები გააკეთა დაუყოვნებლივ გადასაწყვეტ პრობლემებზე.

მდიდრები და ღარიბები

იმის თვალსაზრისით, თუ რამდენად განსხვავებულია სამედიცინო დახმარების შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა "ჯანმო" ერთმანეთს ადარებს იაპონიაში და სიერა-ლეონეში დაბადებული ორი გოგონას ბედს.

ემ. ასეთი სისტემატური მოქმედების შედეგად 1988-2003 წლებში დაავადების გავრცელება რამდენიმე ასეულჯერ შემცირდა.

ინფექცია

ინფექცია ვერ კიდევ რჩება განვითარებადი ქვეყნების პრობლემად, თუმცა პროფილაქტიკის საშუალებით მასთან ეფექტური ბრძოლა სახეობით შესაძლებელია, რასაც ვერ ვიტყვით ნიკოტინთან დაკავშირებით.

ნიკოტინი

ნიკოტინის მიღება კვლავ დიდი პრობლემაა მსოფლიოსთვის. მოწვევა სიკვდილიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხდება. დღევანდელი მონაცემებით, თამბაქოს მიხმარებისაგან წელიწადში 5 მილიონი ადამიანი კვდება. "ჯანმოს" ექსპერტების მონაცემებით, 20 წლის შემდეგ ეს რიცხვი გაორმაგდება.

მკვლეელი №1

ძლიერი კონკურენციის მიუხედავად, სიკვდილიანობის მიზეზების შორის პირველობას ისევ ინარჩუნებს გულსისხლძარღვთა დაავადებები, თუმცა ცივილიზებული ქვეყნებში პროფილაქტიკის საშუალებით შედეგები უკეთესია. ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის კი ეს დაავადება დამახასიათებელი არასოდეს ყოფილა.

ტრავმატიზმი

მკვლეელი №2-ის სახელს სამართლიანად იმსახურებს ტრავმატიზმი, რომელიც ადამიანების ქვეყნებში მამაკაცთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ ავტოკატასტროფების შედეგად წელიწადში 20 მილიონი ადამიანი იღუპება. "ჯანმოს" ანგარიშში ძირითადი რეკომენდაცია ყველა ქვეყნისთვის ერთია - პირველადი ჯანდაცვის ქსელის განვითარება და მოსახლეობის საყოველთაო სასწრაფო მედიკო-სანიტარული დახმარებით უზრუნველყოფა.

ჩეჩენი ლტოლვილები გაირო-ს ლტოლვილებს უბედულს კომისარიატს უპირისპირდებიან

მაკა ჰაიანი

ჩეჩენი ლტოლვილების ნაწილი გაირო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს უპირისპირდება. მათი განცხადებით, ჩეჩენი ლტოლვილების კანონიერი უფლებების გამოყენებას - საცხოვრებლად მესამე ქვეყანაში გამგზავრებას ამ ორგანიზაციაში პრობლემები ექმნება. საუბარია, ნებართვის სანაცვლოდ, არაოფიციალური საზღაურის მოთხოვნაზე.

მესამე ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსით ნასვლის უფლება ჩეჩენმა ლტოლვილებმა საქართველოში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ მიიღეს. ყველასთვის ვისაგები და ადვილად მისახვედრი მიზეზების გამო, აქედან ნასვლის სურვილი ბევრმა გამოთქვა.

"ქართველების დიდად მადლობელი ვარ - მივიღეს, შეგვიფარეს, კარგად გვექცევინა, მაგრამ გინდა, ჩვენმა შვილებმა ადამიანური ცხოვრებით იცხოვრონ, - ამბობს ლიზა იბრაგიმოვა. - 1999-ში ომს გამოვექციეთ. პრეზიდენტის სასახლე რომ დაბომბეს, შეიძლება დღე სარდალში ვისხვითი ვიქნები ორი შვილი და ძმისშვილი, რომელსაც ვწვდი. ორი ძმა ომში მომიკლეს, ერთს დიდაჩემის მუხლებზე გამოჭრეს ყელი; ვერ გაუძლო ქალმა და ჭკუიდან გადავიდა. ქმარი ჩემ თვალში გამოასალმეს სიცოცხლეს, მხოლოდ იმისთვის, რომ გამოგვესარჩლა. ისე ნაშოვილი საქართველოში, არც ფული გამოგვეყვანა, არც ტანისამოსი. ორი წელია, თბილისში ბინას ვეძებო; იქამდე ისე გვაცხოვრებდნენ თავისთან ქართველები, კაპიკი არ გამოუთმობდნენ. ჩემი მეზობლების უზომოდ მაძლიერებ ვარ - ერთი ციფრი სიტყვა არ მასხვავს მათგან; იმით გვეხმარებიან, რა საშუალებაც აქვთ; ხან ფული შემოაქვთ, ხან - პროდუქტი. ჩვენი შემოსავალი მხოლოდ გაიროს შემოსავალი იმ დახმარებასა. სამსახურის შივნის იმდენი არ მაქვს - ეს აქაურებსაც უჭირს. ამიტომ მინდა ნასვლა."

შუმანიტარული დახმარება, რასაც ჩეჩენიდან ლტოლვილები იღებენ, ძირითადად, საკვებაა. როგორც შეხებაში უწყებები აცხადებენ, გარე ვაჭრობის გააქტიურების მიუხედავად, სახალალო ნადიმებმა მოწამელის გარეშე ჩაიარა. პროდუქტი მოწამელთა მიმართვის შემთხვევებში არც ინფექციური საავადმყოფოში დაფიქსირებულია. თუმცა, სანიტარული და ვეტერინარული უწყებების აქტიურობის მიუხედავად, მოსახლეობის დაავადების საფრთხე მაინც დიდი იყო.



ჩეჩენი დევნილები უკმაყოფილონი არიან.

ორც სოფტია იბრაგიმოვა ამბობს, - ფული, ლობიო, შედეგებზე რაც, შაქარი, ჩაი, ქათმის ბულიონი და სხვა. ორ-ორი თვის მარაგს აიღებენ და ნაწილი ბაზარზე გააქვთ გასაყიდად ან გადასაცვლელად - ფულს რომ ჰქონდეთ. ზამთრობით შეშასაც აძლევენ, უფასო სამედიცინო დახმარებაც კეთობენ, თუმცა, როგორც ამბობენ, ჯანმრთელობის სერიოზული გართულებებისას ეს დახმარება საკმარისი არაა.

"სამი წელია, სიმსივე დამიდევინეს - ამბობს სოფიტა, - კარგეკითხვები დამიყვანეს; ნემსები, ნაძვლები დამიწვეს, მაგრამ "თავ"-ში (ჩეჩენი ლტოლვილების სამედიცინო დახმარებას ეს ორგანიზაცია უწევს კოორდინირებას - რედ.) მივხვდი. - ასეთ ძვირ მარაგებს ვერ შევწვდებით, - და სხვა ნაძვლები მომიცეს. მინდოდა, ეს საკითხი გაირო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობაში გამეგზავნა. მათგან ვიცო, რომ ამისთვის ქრთამი მისცეს. მინდოდა, ეს ამბავი ქეთრინთან დამეყვებინა, იქნებ, არ იცის, მარტო ვარ."

"ქეთრინი" საქართველოში კომისარიატის წარმომადგენელი ქეთრინ ბერდნარია. თამარ ჭელიძე წარმომადგენლობის იურისტი აცხადებს. მისი სახელსა და გვარს სხვა ჩეჩენი ლტოლვილებიც იმავე კონტექსტში ასხვებენ. 23 წლის ჯაბაშასაც აძლევენ, უფასო სამედიცინო დახმარებაც კეთობენ, თუმცა, როგორც ამბობენ, ჯანმრთელობის სერიოზული გართულებებისას ეს დახმარება საკმარისი არაა.

"სამი წელია, სიმსივე დამიდევინეს - ამბობს სოფიტა, - კარგეკითხვები დამიყვანეს; ნემსები, ნაძვლები დამიწვეს, მაგრამ "თავ"-ში (ჩეჩენი ლტოლვილების სამედიცინო დახმარებას ეს ორგანიზაცია უწევს კოორდინირებას - რედ.) მივხვდი. - ასეთ ძვირ მარაგებს ვერ შევწვდებით, - და სხვა ნაძვლები მომიცეს. მინდოდა, ეს საკითხი გაირო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობაში გამეგზავნა. მათგან ვიცო, რომ ამისთვის ქრთამი მისცეს. მინდოდა, ეს ამბავი ქეთრინთან დამეყვებინა, იქნებ, არ იცის, მარტო ვარ."

ფულს რომ იღებენ, ვინ იღებს და ა.შ. მაგრამ, არც მე შემთხვევს. როგორც ჩვენებმა მოხერხეს, საქართველოდან გამგზავრებაში 200 დოლარს ან ამავე ლირების ოქროს იხდიან. ისიც ვიცო, რომ გამგზავრების შესახებ დაწერილი განცხადებები იკარგება. ასევე ასახაობა, მაგალითად, ჩემ თვალში დაწერა განცხადება და ჩვენს წარმომადგენელს გაატანა, მაგრამ, როცა კომისარიატში ჩააკითხა, ვეღარ იპოვეს."

გაირო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოში წარმომადგენლობაში ამ საკითხებთან დაკავშირებული ოფიციალური კომენტარისგან თავს იკავებენ. თამარ ჭელიძე განმარტავს, რომ ამის უფლება მხოლოდ ქეთრინ ბერდნარს აქვს; ის კი ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. "24 საათი" უახლოეს დღეებში დაუკავშირდება უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობას და ქეთრინ ბერდნართან ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ.

მოსახლეობა, ჰარჯირობით, მონაბვლას გადაურჩა

რას შეცვლის სანიტარული სამსახურის ახალი ხელმძღვანელი

ნანა ქადაბიშვილი

როგორც შესაბამისი უწყებები აცხადებენ, გარე ვაჭრობის გააქტიურების მიუხედავად, სახალალო ნადიმებმა მოწამელის გარეშე ჩაიარა. პროდუქტი მოწამელთა მიმართვის შემთხვევებში არც ინფექციური საავადმყოფოში დაფიქსირებულია. თუმცა, სანიტარული და ვეტერინარული უწყებების აქტიურობის მიუხედავად, მოსახლეობის დაავადების საფრთხე მაინც დიდი იყო.

გარე ვაჭრობის ადგილებს მალე შეემატა პროდუქტი არასაზიგო დღეებშიც არ აკლია. ბაზრებისა და მეტროების მიმდებარე ტერიტორიებზე ხორცისა თუ რძის პროდუქტები ყოველი ფეხის ნაბიჯზე იყიდებოდა. სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ მოსახლეობას პრესის საშუალებით გაფრთხილა, რომ ქუჩაში გამოტანილი პროდუქტი არ შეეძინათ. ამის გარდა, 30-31 დეკემბერს სანიტარულმა და ვეტერინარულმა სამსახურებმა სასახურებში ერთობლივი რეიდები ჩაატარეს და გარე ვაჭრობის ადგილებიდან, ძირითადად, კუსტარულად დამზადებული კონსერვები და შებოლილი თევზი ამოიღეს. "ახალი წლის წინა დღეებში სხვა პროდუქტის ამოღება და განადგურება ძალიან რთული იყო, თანაც, თვითრეკლამირებაში ჩაგვეთხოვოდა. თუმცა, ჩვენც და ვეტერინარული სამსახურიც სასახურლო ბაზრებზე გამოტანილი საკვებ პროდუქტს მაქსიმალურად გამოწმენდით, - განვიცხადებს მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ხელის მფარველი სანიტარული სამსახურების უფროსმა. თუმცა, როგორც ვეტერინარული გაერთიანების ხელმძღვანელმა ირაკლი მოსიძემ განცხადებდა, შემთხვევა მხოლოდ წინასახალწლო ე.წ. ოფიციალურ ბაზრებზე შეეხებოდა. "ბაზრებში, რესპუბლიკის მოედანზე და ფილარმონიასთან გამართულ ბაზრებზე გამოტანილი პროდუქტს ვეტერინარული გაერთიანების



ამ ბებოს მარჩენალ ჭიხურს შემონახვა ჯერ არ ეშვერება.

ლაბორატორიის წარმომადგენლები ამოწმებდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებდი იმ რაიონებიდან ჩამოტანილ პროდუქტზე, სადაც სამიშინეპროდუქტი მდგომარეობაა. რაც შეეხება გარე ვაჭრობის ადგილებს, მეტროებისა და ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებს, აქ, ჩვეულებრივად, რუსული ქაისი იყო და მოსახლეობის საკვებით მონაბვლის შემთხვევებიც არ იყო გამორიცხვნი. ამ ადგილებში რაიმეს გაკეთება შეუძლებელია, - გვითხრობ ირაკლი მოსიძე. არადა, შესაბამისი უწყებების არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, მეტროების ჩასასვლელ-

ში გამოტანილი ქათმისა თუ გოჭის ხორცს მოქალაქეები მაინც აქტიურად ყიდულობდნენ და მოვაჭრისთვის ვეტერინარული სამსახურის მიერ გაცემული მოწმობის მოთხოვნა აზრადაც არავის მოსვლიდა. ახალმა წელმა ჩაიარა, მაგრამ შობა და "ძველით ახალი წელი" კი არცეინ არის. გარე ვაჭრობაზე პასუხისმგებლობას კი, უკვე რამდენიმე წელიწადია, ყველა შესაბამისი უწყება თავიდან იცილებს. ამის მიზეზები საზოგადოებისთვის ცხარე შეხვედრებში, "24 საათის" მიკროინტერვიუს კარგად არის ცნობილი, ამიტომ ყურადღებას აღარ ვაქცხვლებ. გასულ წელს საკრებულოს ანტიკორუფციული და სა-

ზოგადობასთან ურთიერთობის კომისიები გამოსავალს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელის ჯუღული ახელედანის თანამდებობიდან გათავისუფლებაში ხედავდნენ. დეკემბრის ბოლო რიცხვებში კომისიების ხელმძღვანელთა მიერ რამდენიმე თვის წინათ დაწყებული საქმე თვითონ ახელმძღვანელს დაასრულა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება დაწერა. ინსპექციის მომავალი ხელმძღვანელის ვინაობას ვერჯერობით არ ახმაურებენ. თუმცა, ვინც უნდა იყოს ის, საეჭვოა, მხოლოდ ერთი უწყების უფროსის შეცვლამ გააუმჯობესოს მდგომარეობა.

მოკლდ

თბილისი. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულთა 2003 წლის სახელფასო დაგვიანება 10 მლნ ლარამდეა. დეკემბრის მიწურულს, ტრანსფერის სახით, გამოყოფილი 7,365 მლნ ლარით დაფარა ოქტომბრის თვის ხელფასები. ამჟამად ნოემბრის ხელფასები დარიგებულია მხოლოდ კახეთის, სამეგრელოს, იმერეთის რეგიონებსა და ამბროლაურის რაიონში. დეკემბრის ხელფასების გაცემა, ვერჯერობით, არ დაწყებულია. შეგახსენებთ, რომ საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულთა კუთვნილი ე.წ. გაყინული ხელფასები 1999-2001 წლებში 18 მლნ ლარს შეადგენდა. ამ თანხას კიდევ დაემატა შარშანდელი დაგვიანება 10 მლნ ლარის ოდენობით. **მედია-წიუსი**

თბილისი. საქართველოს ძველთა დაცვის დეპარტამენტი აპირებს, თბილისის საკრებულოს გადასცეს კანონპროექტი ქალაქთმშენებლობის შესახებ. როგორც ძველთა დაცვის დეპარტამენტში განაცხადეს, ვიდრე დოკუმენტი არ დაკანონდება, დედაქალაქის ტერიტორიაზე მშენებლობის შესახებ პროექტების განხილვა შეჩერდება. ქალაქთმშენებლობის შესახებ კანონში ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი ის ტერიტორიები, სადაც ყოველგვარი მშენებლობა დაუშვებელია. ამით ძველთა დაცვის დეპარტამენტი შეეცდება, წინ აღუდგეს კერძო სუბიექტებისათვის მშენებლობების შესახებ უკანონო გადაწყვეტილებების მიღებას, რაც კორუფციულ გარემოებასაც შეამცირებს. ძველთა დაცვის დეპარტამენტი პროექტს თბილისის საკრებულოს ერთ კვირაში წარუდგენს. როგორც დეპარტამენტში აცხადებენ, ეს არის დასავლურ-ევროპული მოდელი და ის ევროპის ქვეყნებში წარმტებით მოქმედებს. **მედია-წიუსი**

თბილისი. მერმა ვანო ზოდელავამ, მოსაკრებლების გეგმის შესრულებლობის გამო, დედაქალაქის რაიონების გამგებლებს პარკირების სამსახურის ხელმძღვანელების გადაყენება მოსთხოვა. ზოდელავას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ბიუჯეტში მოსაკრებლებიდან შესატანი თანხები სულ 2-3% შეადგენს, ბოლო თვეების განმავლობაში თბილისის ბიუჯეტი არ შესრულებულა არც საგადასახადო და არც არასაგადასახადო კუთხით. თუმცა, როგორც ქალაქის ვიცე-პრემიერმა თემურ ქურბულმა აღნიშნა, გარდევნილი ბიუჯეტის ფონზე, თანხების მობილარება ძნელია. მისი აზრით, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასების და ექსპლუატაციის ხარჯების გაღება. **ინტერ-პრესი**

თბილისი. 2004 წლის პირველ თთბიურ თბილისის მერმა სახალალო დღეებში ვანელი მუშაობისთვის საქალაქო სამსახურებს მადლობა გადაუხადდა. "ახალი წლის ღამეს მეტროპოლიტენმა დილის 8 საათამდე იმუშავა და გზაჯვარებს პროფესიულად მოემსახურა, მადლობას იმსახურებს ტრანსპორტისა და გარე განათების საქალაქო სამსახურებში," - განაცხადა მან. თუმცა, შენიშვნებიც გამოთქვა, - დედაქალაქის რაიონების გამგებლებს მეტი ყურადღება უნდა გაუმახვილებინათ პერიფერიული ქუჩების მონსერვიგებაზე. ზოდელავას განცხადებით, 2004 წლის ქალაქის ბიუჯეტში დასუფთავებისთვის მეტი თანხა უნდა იყოს გათვალისწინებული და ნაგვის განაწმენაზე დასაქმებული ქარხანა აუცილებლად უნდა ახენდეს. **ინტერ-პრესი**

თბილისი. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრში გრიობით დაავადების შემთხვევათა მატებას იანვრის მერვე ნახევრიდან ელიან; თუმცა, ეპიდემიის შესაძლებლობა გამორიცხავენ. ცენტრის ინფორმაციით, ამჟამად მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, ძირითადად, გრიობის სახეობაა - "ფუ-ჯიან 2002" - ცირკულირებს, გარდა, რისკ-ჯგუფებს, გარდა მცირეწლოვანი ბავშვებისა და მოხუცებისა, მცირე მოცულობის დახურულ სივრცეში მომუშავე ადამიანებიც წარმოადგენენ. საქართველოში გასულ წელს გრიობის 19486 შემთხვევა იყო რეგისტრირებული; აქედან 6855 შემთხვევა ბავშვებზე მოდიოდა. **ინტერ-პრესი**

ავლაბარი და ჭავჭავაძე - სომხები საქართველოში

მანია ჩიკვაძე

საქართველოში, ქართველებთან ერთად, სხვა ერების წარმომადგენლებიც ცხოვრობენ. დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, როგორი დამოკიდებულება აქვთ ეთნიკურ უმცირესობებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ, როგორ წარმოუდგენიათ საკუთარი როლი აღნიშნულ პროცესებში და როგორ ხედავენ ქვეყნის აწმყოსა და მომავალს.

ავლაბარის მეტროს შესასვლელში, შრომის ბირჟაზე შეკრებილი სომხები ხელოსნებით დაგანან კლიენტის მოლოდინში და უმუშევრობასა და გაჭირვებას წყველიან. შევარდნადის მმართველობის უკანასკნელ 11-წლიან პერიოდს არც მათთვის მოუტანია კეთილდღეობა.

"შავრა მიქვარე, 92-ში რუსეთში რომ არ წავიდე, - ამბობს მღვბავი სურენ კარამანიანი. - აქ ჩვენ წინაგრძობა მომავალი არ აქვთ. თანამდებობებზე მხოლოდ კორუმპირებული სომხები ინიშნებიან, რომლებსაც ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ და მართკ არჩევნების წინ ახსენდებათ!"

სტატისტიკის მონაცემებით, 1989 წელს, თბილისელ სომხთა რაოდენობა 100 ათასს აჭარბებდა. სადღესღად 50 ათასი კაცი საზღვარგარეთ - უმეტესად რუსეთშია გასული. მათ შორის ნანდის ე.წ. "ცეხაკები" შეადგენენ, რომელთაც საქართველო 1992-93 წლების არეულობების დროს დატოვეს. ქვეყნიდან გასვლის ტენდენცია სადღესღად ცოტა შენელებულია, თუმცა ბევრი სომხი ახალგაზრდა თავის მომავალს საქართველოს მაინც არ უკავშირებს.

მე-19 საუკუნისგან განსხვავებით, თანამედროვე ქართველ სომხებს შორის მსხვილი ბიზნესმენები არ არიან. სომხური წარმოშობის სოლიდური მენარჩენების უმეტესობა დღეს რუსეთში მოღვაწეობს.

სომხურ თემში, ისევე, როგორც ყველაზე საქართველოში, მაღალია უმუშევრობის დონე. პროფესიონალიზმის მოუხედავად, მკვეთრად დაეცა მოთხოვნა სომეხ ხელოსნებზე, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან სამუშაოს საძოვრებად ჩამოსულბმა შეაინთოვეს. სომხების ნაწილი ავტოპროფლაქტიკებშია დასაქმებული, ნაწილი - "პირიმუში", მენალეები კერძო პრაქტიკას ეწევიან (მათ ხელოსნობაზე დღესაც დიდი მოთხოვნაა). სომხური თემის ერთ-ერთი უზუცესი აღნიშნავს, რომ სომხურ ოჯახებში ეკონომიკურად აქტიური წევრები, როგორც საერთოდ საქართველოში, უფრო ქალები არიან. ისინი მუ-

შაობენ პარიკმახერებად, კერძო კოსმეტიკური ფირმების კომიოი-აფერებად, გამყიდველებად, ორგანიზაციებში მდივნებად და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხების უმეტესობას ყოფილი პრეზიდენტისადმი ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. მას "პალაჩა" მოიხსენიებენ. სიმპათია არ გააჩნიათ სახელისუფლო მარაქში გასული თანატომელების მიმართაც.

სომეხ ხელოსანთა შორის ერთი ხანობა დიდი პოპულარობით სარგებლობდა შალვა ნათელაშვილი, მაგრამ მისი რეიტინგი სრულიად გაცამტვერდა მას შემდეგ, რაც ნოემბრის მოვლენებისას ოპოზიციასთან გაერთიანებაზე უარი თქვა.

"გე ოპოზიციონერი კი არა, აფერისტი ყოფილა! მაგრამ მიქვარე, ხმა რომ მივეციო," - მიხობრეს სომხებმა, შაუმანიის სკვერში წარდის თამაშით რომ იტყვიდნენ თავს. დღეს მათ შორის მაღალი რეიტინგით სარგებლობს მიხილ სააკაშვილი. ავლაბრელები განსაკუთრებით გაახარა ელიას მთაზე, სამების ტაძრისკენ მიმავალი პრეზიდენტობის კანდიდატის მათ უბანში ფეხით გასეირნებამ და მოსახლეობასთან შეხვედრამ. **"ყველას ხელი ჩამოგვართვა; მაგარი ბიჭია; შევარდნაქს მაგის გარდა ვერაფერ მოგვამორებდა, მაგრამ ვნახოთ, რამდენად კარგი "ხაზია-ისტვენნიკი" იქნება. წარმოების გარეშე ქვეყანას, აბა, რას უშველის?!" -** ამბობს გიორგი მაზმანიოვი, მეტსახელად ლემა.

სომხური თემი, აზერბაიჯანულის შემდეგ, საქართველოში რიცხოვნობით მეორეა და 2002 წლის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, 400 ათას კაცს ითვლის. ფუნქციონირებს 12 სათვისტომო და კავშირი (ჯავახეთის რადიკალური პარტია "ვირქ"-ი და კავშირი "ჯავახკი" რეგისტრირებული არ არის). რამდენიმე ორგანიზაცია ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობს. მათი ლიდერები მაღალი რანგის ერთაშორის შეკრებებზე სომხური თემის სახელით გამოდიან, რაც დანარჩენი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უსამართლოად მიაჩნიათ. მათი აზრით, ხელი-სუფლების კარზე დანიშნულ ბუტაფორულ ორგანიზაციებს ქვეშაირთ თემთან არაფერი აქვთ საერთო.

ქართული არმიის ოფიცრის, სეირან გაბრიელიანის სიტყვით, მისი კავშირი "საიათნოვა" ყველაზე მრავალრიცხოვანი თემია - 12 ათას კაცს აერთიანებს და ჯავახეთშიც აქვს ფილიალები. ორგანიზაცია 1998 წლიდან არსებობს. აქვს ბეჭედი და საბანკო ანგარიში, მაგრამ არა აქვს ფული და ოფისი. შეხვედრებს ავლაბარში, სურბ-გევო-



სომხები ხელოსნებით დაგანან კლიენტის მოლოდინში.

რქის ეკლესიის ეზოში, ან ნახევრად დანგრეული სომხური ბიბლიოთეკის სარდაფში მართავენ. 1999 წელს კავშირის წევრებმა ეკლესიის ეზოში, საიათნოვას ძეგლთან, ვარდების დღესასწაული - ვარდატონი აღნიშნეს, რომელსაც პარლამენტის მაშინდელი სპიკერი ზურაბ ჟვანიაც დაესწრო.

გაბრიელიანი დაუღალავად ებრძვის საქართველოში სომხეთის ელჩს გიორგი ხოსროვეს, საქართველოს სომეხთა კავშირის პრეზიდენტს ჰენრიხ მურადიანს, რომელიც ნინოშინდის გამგებელი, მემდგომ კი ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გახლდათ, და გაზეთ "ერასტანის" მთავარ რედაქტორს, პარლამენტარ ვან ბაიბურთს, რომელსაც KGB-ს ყოფილ აგენტად მიიჩნევენ და ანტიქართულ საქმიანობაში ადანაშაულებს.

კავშირი "საიათნოვა" და თბილისელ სომეხთა კავშირი, მიხელოტაველი სომხების ხელმძღვანელობით, ბოლო ორი წელია აქტიურად თანამშრომლობენ მერიასთან და საკრებულოსთან, რომელთა ფინანსური ხელშეწყობით სომხური კულტურის ძეგლები აღდგენა მოხერხდა.

თბილისის სომხური თემი ამაყობს იმ ფაქტით, რომ გამოჩენილი თმიც აქვს ფილიალები. ორგანიზაცია 1998 წლიდან არსებობს. აქვს ბეჭედი და საბანკო ანგარიში, მაგრამ არა აქვს ფული და ოფისი. შეხვედრებს ავლაბარში, სურბ-გევო-

რეგიონის ცენტრი იყო, სადაც ვაჭრობისა და კაპიტალიზმის გასაფართოვებად ყველაზე უკეთესი პირობები არსებობდა. აქედან გამოიშინა, სომხურ თემს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმედ სახელოვან თანამემამულეთა საფლაგების დაცვა მიაჩნია.

შარშან, პირიში, მერიის გადაწყვეტილებით, ვერის სასაფლაოს ის ნაწილი, სადაც მე-19 საუკუნის საპატრიო სომეხი მოქალაქეები - მათათმოებები, მელიქ-აზარიანები, ექიმი ზუდადოვი, მხატვარი ვანო ხოჯაბეგოვი და სხვები არიან დაკრძალულები, მემორიალურ ზონად გამოცხადდა. 55 ათასი დოლარი გამოიყო ელიას მთაზე სომხური პანთეონის აღსადგენად და თეატრის შენობის გასარემონტებლად.

გაბრიელიანი ამტკიცებს, რომ სომხურ ძეგლებზე ზრუნვის ფუნქცია, აღსადგენად გამოყოფილი ფულის ნაწილთან ერთად, უსამართლოდ მიითვისეს სომხეთის ელჩმა ხოსროვემა და ჰენრიხ მურადიანმა. მურადიანის ორგანიზაციასთან განხეთქილების კიდევ ერთი საბაზი გახდა თეატრის შენობა, სადაც თემის საკოორდინაციო საბჭოს, თემის თავმჯდომარის ადგილისა და კულტურის ცენტრის დაარსება სურდა. ეს ინიციატივა არ დაკმაყოფილდა. თეატრის დირექტორი შენობაში სახიკლე და საცხობი აქვს მოწყობილი.

მიუხედავად იმისა, რომ სომხ-

ურ სათვისტომოში იყო გაერთიანებისა და 2002 წლის შერიგების ბაიბურთი და მურადიანი "საიათნოვა" პრეზიდენტთან თანამშრომლობაზე უარს ამბობენ და მას შივისტად მოიხსენიებენ.

დღეს გაბრიელიანი ისინი რაიონის გამგეობას ნახევრად დანგრეული სურბ-მინასის ეკლესიის შენობის კავშირის იურისდიქციაში გადაცემას სთხოვს, რათა, მეკეთეების შემდეგ, იქ ბაჟფუქ-მელიქოვისა და ბაშანჯაგაიანის ნახატები გამოფინოს. ტაძრის განსხვავებული მიზნით გამოყენება გასაკვირი არ არის, რადგან თემში სომხური აპოსტოლური ეკლესიის მიმართ გულგრილობა შეიმჩნევა. დასაბურის აქტივისტების სიტყვით, ეწმი-აქინიდან დანიშნული ეკლესიის წინამძღვრები, მრევლზე ზრუნვის მაგიერად, სახელისუფლო ჩინოვნიკებთან მეგობრობაზე ზრუნავენ. სომხების დიდი ნაწილი იელავის მონმე გახდა, ნაწილი - კათოლიკედ ან მართლმადიდებლად მოინათლა.

წლეულს, იელისში, გაბრიელიანი და ტატევისიანი საქართველოში ჩამოსულ სომხეთის პრეზიდენტს უნდა შეხვედროდნენ და თემის სახელით ელჩის განცევა ეთხოვიათ. მაგრამ წინასწარ გაფრთხილებულმა პოლიციამ, ინციდენტის თავიდან ასაცილებლად, ორივე მათგანი დააკავა. **"ბაიბურთს, სადაც ვნახავ, ცვემ!" -** ამბობს გაბრიელიანი **და ჟვანიას გვერდით ევთი ხალხი?!"**

ამჯერად სააკაშვილთან კონსულტაციებს ანარმობს რესპექტებულური ორგანიზაცია "შრავა-ლეროვანი საქართველოს" 30 წლის ლიდერი არნოლდ სტეპანიანი, რომელიც მურადიანის კადრი გახლავთ. სტეპანიანი ერთი პერიოდს ჟვანიასთან თანამშრომლობდა, მაგრამ მისი ოპოზიციამ გადასვლის შემდგომ ოფიცოზთან დარჩენა ამჯობინა. **"ეთნიკური უმცირესობა არ შეიძლება იყოს მკვეთრი ოპოზიციამი. ეს გარდაუვალი კონფლიქტის საწინააღმდეგარა," -** ამბობს სტეპანიანი, რომელიც ბლოკ "ახალი საქართველოდან" საპარლამენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს და საიში 54-ე ნომრად იყო (ამ ფაქტის გამო ის განაწყენებულია). "მრავალეროვანი საქართველო", დასავლური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით, მეცადინეობების ნ-თვიან კურსებს ატარებს წელიწადში 120 სტუდენტისთვის, რომელთა უმრავლესობა სომეხია. მათ ასწავლიან ქართული დამოკიდებულება ახალი, მკვეთრად პროდასავლური ხელი-სუფლების მიმართ. **"ჯავახკის" წევრებს შორის შეიმჩნევა სიმპათია, თუმცა ამაზე ლიად არაფერ საუბრობს.**

სტეპანიანის სიტყვით, ქართული ცუდი ცოდნა სომხურ მოსახლეობაში ზრდის უმუშევრობას და სოციალურ უკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, სომხებს ბავშვები მაინც რუსულ სკოლაში შეჰყავთ, რათა შემდგომ მათი რუსეთში დასაქმება გაადვილდეს. გამონაკლისა შერეული ოჯახები, რომლებშიც შეიმჩნევა ქართულად განათლების მიღების ტენდენცია.

საქართველოში 154 სომხური სკოლაა. თბილისში - 7. სომხური სკოლების უმრავლესობა სამცხე-ჯავახეთის სოფლებშია გახსნილი.

ჯავახელი სომხები 1829 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ, გენერალ პასკევიჩის მიერ ჩამოსახლებული სომხების შთამომავლები, თითქმის ორი საუკუნეა, ქართულენოვან კულტურულ და ეკონომიკურ სივრცეს მოწყვეტილები არიან. თავდაპირველად მათ იზოლირებას ხელს უწყობდა რუსეთის იმპერია, შემდგომ - საბჭოთა კავშირი, რომლის დროსაც აწყურის სასახლო-გამგებელი პუნქტი პასპორტების გარეშე მიმოსვლას შეუძლებელს ხდიდა.

დღეს რეგიონის ეკონომიკურ ინტეგრაციას ხელს უშლის თბილისამდე დიდი მანძილი და პოლიციური რეკეტო გზაზე, რის გამოც ჯავახელი გლობსთვის სომხეთთან სავაჭრო ურთიერთობა უფრო მომგებიანია.

ახალქალაქელი სომხების 80 პროცენტი რუსულ სამხედრო ბაზაზე დასაქმებული. მათი საშუალო ხელფასი 100 დოლარია. თბილისში მომხდარ რევოლუციას ჯავახელი სომხები უარყოფითად აფასებენ და აქტიურად მოითხოვენ აჭარასთან შეერთებას.

მეზობელი ქვეყნების სხვადასხვა რეგიონებში სომხების მიგრაციის უმეტესობა შიშისა და ცრუნებებზეა. ერთ-ერთი ჭორის თანახმად, რუსული სამხედრო ბაზა უახლოეს მომავალში ნატო-ს ბაზა უნდა ჩაანაცვლოს, რომელიც მხოლოდ თურქი ოფიცრებით იქნება დაკომპლექტებული. ახალქალაქის (და თბილისის) სომხური მოსახლეობაში ვრცელდება ხმები თურქი მესხების გარდუვალ ჩამოსახლებაზეც. ჯავახელ სომხებს წლების მანძილზე არწმუნებენ, რომ რუსული ბაზა თურქეთის მხრიდან მორიგი გენციდის მიწყობისგან იცავთ და ა.შ.

რაც შეეხება პარტია "ვირქს" და კავშირ "ჯავახკს", პირველმა ოფიციალურად დააფიქსირა ნეგატიური დამოკიდებულება ახალი, მკვეთრად პროდასავლური ხელი-სუფლების მიმართ. **"ჯავახკის" წევრებს შორის შეიმჩნევა სიმპათია, თუმცა ამაზე ლიად არაფერ საუბრობს.**

გაბათობით,
ორკვირული გაზატი

მომხმობა

პროზა მოძრაობა კრიტიკა ინტერვიუ რევიზია ბასტილიანი საავტორობა

საქართველო

კოტა.GE



კოტა ხახანიშვილი

საქართველოს

დარდი წარსულს გავატანეთ, მშვიდობა სარჩენები, პატროსნად ჩავატარეთ პრეზიდენტის არჩევნები.

დავიკავებ ვერო ნიშა, სპონსორებიც დავიჩვიეთ და სუყველამ ერთად მიმა პრეზიდენტად ავირჩიეთ.

მოვიცილებ ძველი ხანდრა, ცის გაიხსნა კაბადონი, გვყავს დედოფლად ლედი სანდრა - საქართველოს ქალბატონი.

ის დაგვყავს ნითელ ვარდებს და მათხორეებს დააპურებს, გაუქარებს მშვიდებს დარდებს, ჩააცმევს და დაახურებს.

ასეთია ბედის წერა, მომავალიც გაბრწყინდება და მეც ამ ეტიმაზე წერა არასოდეს არ მწყინდება.

საბაზლნოდ მიმას

შესასრულებლად გაძნელდეს რომც ეს, თუნდ მთელი ხალხი გესროდეს ვარდებს და რა გინდ ბედმა წყალობა მოგცეს, დაიმახსოვრე, სიფრთხილე გმართებს!

გმირებსაც რადგან ხშირ-ხშირად დრო ცვლის, ხან მისცემს ერთს და მეორეს ართმევს, როდესაც ხალხი შენს სურათს კოცნის, დაიმახსოვრე, სიფრთხილე გმართებს!

პასუხისგება მეტი აქვს რადგან, მას ვისაც დიდი უფლება დართეს, როდესაც იგრძნობ - შენი დღე დადგა დაიმახსოვრე, სიფრთხილე გმართებს!

და თუ კი ერმა ტაძარში გლოცა გზასაც შენ აძლევ მომავალ ქართველს ხვალ პრეზიდენტი გახდები როცა დაიმახსოვრე, სიფრთხილე გმართებს!

ახალი დროის მოთხოვნა - ამოიბინდეს რომ ყანა, არის ჯერ მიწის მოთხოვნა მერე მოსავლის მოყვანა.

მას, ვინც ემხრობა პოპულიზმს, ერთი რამ ვერ გაუგია - დანაშაულზე კომუნიზმს პასუხი ვერ არ უგია. და ძალიან ვთხოვ სუყველას, ვინც ისტერიკას გამართავს ასე ძალიან ნუ ღელავს, თუ დრო აღადგენს საშართალს.

საჩუქარი პატრიარქს

დომო იორდანიშვილი

ახალგაზრდა ფერმწერისა და გრაფიკოსის კახა თოფჩიშვილის პირველი პერსონალური გამოფენა ზურაბ წერეთლის საგამოფენო დარბაზში სწორედ ზურაბ წერეთლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტურის დამთავრებამდე კახა თოფჩიშვილს არავითარ მხარეშიც არ იქონია მონაწილეობა ჯგუფურ გამოფენებში...

კახა თოფჩიშვილის ორი ფერწერული ტილო "პანკისის ხეობა" და "ტყვეების გაცლა" მუდმივო ექსპოზიციებისათვის ისეთმა პრესტიჟულმა მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმებმა შეიძინეს, როგორებიცაა ვაშინგტონის პარკარდისა და ნიუ იორკის ზიმერლის მუზეუმები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ნიჭიერებასა და დიდი მომავლის მქონე მხატვრის ხელწერას.

კახა თოფჩიშვილის პირველი პერსონალური გამოფენის ექსპოზიციიდან ერთ-ერთი შთაბეჭდილება საქართველოში "ქრისტიანობის შესვლა მთაში" 4 იანვარს ავტორმა საჩუქრად გადასცა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია მეორეს. გამოფენის გახსნაზე ამ ნამუშევრის შესახებ არაერთი შეკითხვა დაუსვეს ავტორს (ტილოზე ასახულია, თუ როგორ იკვალავენ გზას მთიანი ნისლით დაბურულ მიწაზე წიწვებში ცხენზე ამხედრებული მისიონერები).

ავტორმა თავისი ჩანაფიქრი შემდეგნაირად ახსნა: - "ჩვენს სულიერ მამას უწინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ძალიან აწუხებდა მრევლის დაბრუნება დედა ეკლესიაში. მან ამ ძნელად საკეთებელ საქმეს დაიწყო და რწმენით იარა და ვფიქრობ, თავისი მისია ბრწყინვალედ შეასრულა ერის წინაშე. ეს ნახატი სწორედ ამ რთულად "სავალ გზებს" ეძღვნება."

დღეიდან კახა თოფჩიშვილის შესანიშნავი ფერწერული ტილო საპატრიარქოს კედლებს დაამწყვდევს.

P.S. პატარა შტრიხი: გამოფენის გახსნაზე რამდენიმე ღვთისმშობლის სახელითაა გადანიშნული ზემოთხსენებული ტილო გაერთიანებული ძალებით შეიძინა და პატრიარქისთვის საჩუქრად წაეღო 4 იანვარს. გაიგო თუ არა მხატვარმა ამის შესახებ, იქვე განაცხადა: დღეს ყველა მხატვარი უკიდურესად ლარობია, მაგრამ არა იმდენად, რომ პატრიარქისთვის ნახატი გაყიდოს. თქვენ ყველა ჩემთან ერთად ნამობრძანდებით და პატრიარქს ერთად გადაცემთ საჩუქრადო.

ქართული კულტურის ახალი პერსპექტივები

1. მოვლით თუ არა ცვლილებებს ახალი ხელისუფლებისგან კულტურის სფეროში?
2. ნომერი პირველი პრობლემა, რომელიც სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას?

ჩემო ჩხიპი

კინორეჟისორი

ჩემი აზრით, ეს ცვლილებები უქვეყნად მოხდება. მე მგონია, რომ როდესაც გუშინდელი არჩევნები ასე ტრიუმფულად დამთავრდა, მიხელო სააკაშვილის პრეზიდენტობის თვალსაზრისით, ამაში დიდი როლი უკავია იმას, რომ პირადად მე და, ალბათ, ბევრი სხვაც, კარგად გრძნობს, რომ საქართველოს სახელმწიფოს დაჩაივებას, მისი უამრავი პრობლემის გადაჭრად უნდა დიდად განსაზღვრავდა ის მდგომარეობა, რომ ქართულმა კულტურამ და, მათ შორის, კინემატოგრაფიამ, რომელსაც მე წარმოვადგინე, ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგა უკან. ამაზე გამოიწვია ის, რომ ქართველი ერის ეროვნული სული დაეცა; ისეთი ცნებები, როგორცაა პატრიოტიზმი, პუბლიცისტიკა - ჩვენი ცხოვრების სულიერად განვითარებასთან დაკავშირებული, იდეოლოგიურად სადაც უფსკრულში გადაიჩეხა. ვერც ერთი ერთი მსოფლიოში ვერ მიაღწევს წარმატებას, თუკი მის სულიერ მხარეს არ ჩამოქრის - უპირველეს ყოვლისა ეკლესია, რა თქმა უნდა, ოჯახი და დიდი კულტურული მემკვიდრეობა. აი, ეს ვერ გაითვალისწინა ჩვენმა წინა ხელისუფლებამ, შეიძლება ითქვას, პარლამენტმა და იმის გამო, რომ სახელმწიფოს უჭირდა (და, ფაქტია, რომ მართლაც უჭირდა), სრულიად არ ხდებოდა, ან კამიკეტო განისაზღვრებოდა ამა თუ იმ დარგის დაფინანსება. შეიძლება არც არავინ იცის, რომ კინოს ტილია "ქართული ფილმი", ავერ უკვე სამი წელიწადია, საერთოდ ამოღებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რაზე ფიქრობდნენ მესვეურები, როდესაც ამას აკეთებდნენ,

როდესაც ასე განირეს კინოსტუდია "ქართული ფილმი", ჩემთვის სრულიად გაუგებარია; გვერებია, რომ ვილაქამ ეს სპეციალურად გამოიგონა, რომ ლახვარი ჩაეცა ქართული კინოსთვის. იმ პარლამენტის სხდომაზე, როდესაც ამ კანონს იღებდნენ (მართალია, პარლამენტის წევრი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ იმ სხდომაზე მიმინვიეს სტუმრად), გამოვედი სიტყვით და ვთქვი: აი, დაიმახსოვრეთ დღევანდელი დღე. ამის შემდეგ თქვენ შეიძლება ქართული კინო ჩათვალოთ მკვდრად. ეს, მართლაც, ასე მოხდა. ისიც კი არ გაითვალისწინეს, რომ კინოსტუდია "ქართული ფილმი" მთელი ქალაქია თავისი კომუნიკაციებით, გაყვანილობებით, შეიძლება წყალი ჩამოვიდეს, იატაკი გაფუჭდეს, მილი გასკდეს და არავითარი თანხა ამისათვის გამოყოფილი ჩვენ არ გვექონია. არადა, იცით, ქართული კინოს ფენომენმა როგორ გაუთქვა ქვეყანას სახელი და რა როლი ითამაშა იმისათვის, რომ მომხდარიყო ის, რაც დღეს მოხდა. ამგვარად, ერთადერთი გამოსავალი იმ მრავალ გამოსავალია შორის, რომლებიც არსებობს, სულიერ ჩამოყალიბებაზე ზრუნვა მგონია. მთავარი, გადამწყვეტი სიტყვა ქართულმა კინომ უნდა იყოს. მას აქვს ამის სრული შესაძლებლობა. მე მეჯრა, ხელისუფლება გაითვალისწინებს იმ ტრადიციულ შეცდომას, რომელიც ჩაიდინა და ამას აღარ გაიმეორებს. მეჯრა, რომ სხვაგვარად სწორედ ის ხაზი გაგრესიონდება, რომელიც ბოლომდე განადგურებს ყველაფერს. პირველ ყოვლისა, უნდა უშველონ ქართულ კინოს. მე მაქვს ამის შესახებ დანერგული გეგმა, რომლითაც მიზნად, მთავრობის წინაშე წარვდგე. დანერგული ვარ, ბატონი მიხეილი ამ ლაღად გაიგებს და გადადგამენ ნაბიჯს ქართველი ხალხის, ამ შემთხვევაში, ქართული კინოს სასარგებლოდ.

თუ "ქართული ფილმი" კვლავ გახდეს სამეცნიერო ქართული კინემატოგრაფიისა. ეს გასაკეთებელია, თუ გვინდა, ვიხილოთ აყვავებული ნაციონალური ქართული კინო.

მიორგი შენგელია
კინორეჟისორი

1. ცვლილებები ლოგიკურია, იმიტომ, რომ პოლიტიკოსების ახალი თაობა მოვიდა. პირველ რიგში, დანერგული ვარ, რომ კორუფცია მოისპობა და გრანტებსა და ინვესტიციებს წესიერი ხალხი გააკონტროლებს. კორუფციის აღმოფხვრას ეკონომიკური აღმავლობა უნდა მოჰყვებ, რაც პირდაპირ კავშირშია კულტურის პრობლემების გადაჭრასთან.

შეადრდნადისა და მისი წინა მთავრობის უმძიმეს დანატორავს - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსაც, დანერგული ვარ, მოვეცემა. ამ პრობლემის გადაწყვეტაში აშშ და რუსეთი მედიატორის როლს შეასრულებენ. ცნობილია, რომ აშშ მეტალურჯად უჭერს მხარს მიხეილ სააკაშვილს. ახალი პრეზიდენტი, ალბათ, პუტინთანაც გამოინახავს საერთო ენას, იმიტომ, რომ აქვს თაობის ფაქტორი ითამაშებს, ალბათ, რაღაც როლს - ისინი ხომ ერთი თაობის არიან.

2. რაც შეეხება ნომერ პირველ პრობლემას, კულტურის სფეროში რომ უნდა გადაიჭრას, მე, როგორც კინორეჟისორს, მიმაჩნია, რომ კინო უნდა აღდგეს, მაგრამ ასეთივე მდგომარეობაშია მუზეუმები, საკომპოზიტორო ხელოვნება, მხატვრობა. თეატრებს ნაკლებად უჭირთ, ისიც იმიტომ, რომ მუნიციპალურ დაფინანსებას ექვემდებარებიან.

საერთოდ, ჩვენ ისეთი ქვეყანა ვაქვს, რომ საგაჭრო კულტურას ვერ შევქმნით დიდი მასშტაბებით. მიმაჩნია, რომ ჩვენთან კულტურა სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ უნდა დარჩეს.

საკან. რადგანაც სხვა გენერაციის, სხვა თაობისა და სხვანაირი აღზრდის ახალი პოლიტიკოსთა ჯგუფი მოვიდა; და რამდენადაც მე ვიცი, მათ ინტერესი აქვთ ამ სფეროსი. იმიტომ, რომ რეალურად დღეს თვალნათლივი მაგალითია იმისა, რომ მოხდა პოლიტიკოსთა ხელგუნებასთან უცნაური გადაჯვავება; ის, რომ მიხეილ სააკაშვილი სიმბოლოებით ძალზე კარგად აზროვნებს, ნიშნავს იმისა, რომ იგი ხელოვნების კუთხით ხედავს პოლიტიკის მართვას. ეს ძალიან სერიოზული რამ გახლავთ. მოვეცენებათ, 60-იან წლებში თვითონ ხელგუნება გახდა პოლიტიკა, ბევრი ხელოვანი მივიდა პოლიტიკაში, დღეს უკვე პოლიტიკოსები მეტყველებენ და მოქმედებენ ისე, როგორც ხელოვანი ხალხი. ეს ძალიან სერიოზული ცვლა არის პოლიტიკოსთა მენტალობაში და, ალბათ, საზოგადოების მენტალობაშიც და ეს ძალიან კარგია. ამიტომ არ გამოვიცხავ, რომ სერიოზული ნაბიჯი გადადგან სწორედ კულტურისათვის უფრო მეტი ურთიერთობის დალაგების თვალსაზრისით.

2. რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში - კანონი უნდა ჩამოყალიბდეს სპონსორობისა და ქველმოქმედების შესახებ კულტურის სფეროში. ეს მესახება ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად, რაც პირველ რიგში უნდა გადაწყვეტილიყო დღევანდელმა ხელისუფლებამ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. კულტურის სამინისტროს, რა თქმა უნდა, მოუხვეს ბევრი რამის შეცვლა. მისი ორიენტაცია, რა თქმა უნდა, უნდა შეიცვალოს და დაიხვეწოს და პრიორიტეტად უფრო დარჩეს და უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს კულტურულ მემკვიდრეობასა და სახელოვნებო მონაბატო კურორტ ბიჭვინთს, შემდეგ ხელოვნების, დეი, აქ იმუშაოს ქველმოქმედების კანონმა. სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს, პირველ რიგში, კულტურული მემკვიდრეობა და სახელოვნებო აღზრდა. ამ შემთხვევაში, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამხატვრო აკადემიას, კონსერვატორიასა და თეატრალურ ინსტიტუტს.

მია ბულაძე

მხატვარი

1. მოველი ცვლილებებს კულტურის სფეროში, უფრო სწორად, ინტერესის რეალურ გამოხატულებას მოველი ახალი ხელისუფლები-



რიხო ჩხიძე



გიორგი შენგელია



გია ბულაძე

იუზილა მთელი წელიწადი

დაიბადა თბილისში 1934 წლის 4 იანვარს. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მისი რეგალიები მრავალრიცხოვანია: არის სოციალისტური შრომის გმირი; რუსეთის ფედერაციის, საქართველოსა და სსრკ-ს სახალხო მხატვარი; ლენინის პრემიის ლაურეატი; ორჯერ სსრკ-ს სახელმწიფო პრემიის, ასევე, რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. პროფესორი; ბროკპორტის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი; პიკასოს პრემიის ლაურეატი; "შთამომავლობის წინაშე დამსახურებებისთვის" მეცამეტე ხარისხის, ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი; სხვადასხვა ფინანსურ მხარდაჭერის ორი ათასზე მეტი ტილის ავტორი. ბოლო დროს კი მსოფლიოს უღამაზეს ქალაქებს ამშვენებს მისი სკულპტურული ნამუშევრები...



ზურაბ წერეთელი 70 წლისა

კვირას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტსა და ცნობილ მხატვარს ზურაბ წერეთელს. როგორც თავად განაცხადა, იგი მზადაა, მთელი წლის განმავლობაში იზიემოს იუბილე. "მე ქართველი ვარ ჩვენი მთელი მთელი ასეთი თარიღების მასშტაბურად აღნიშვნა". განუცხადა წერეთელმა ფურნალისტებს.

ზურაბ წერეთელი მისივე შემოქმედების ასეთ მასშტაბურობას საკუთარ მიღწევად მიიჩნევს. სხვათა შორის, ზურაბ წერეთლის მამა თავის დროზე შეიღობა პროფესორი არჩევანის წინააღმდეგი ყოფილა. მამას სურდა, იგი იხიერე გამოუსულიყო, მაგრამ ახალგაზრდა ზურაბმა მაინც თავისი გაიტანა. "როდესაც საბჭოთები თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე შევიტანე, აღმოჩნდა, რომ ჩემს გარდა, იქ მოხვედრა კიდევ 120 ახალგაზრდას სურდა, - ისვენებს მხატვარი, - საბოლოოდ შევიდ მიიღეს და მათ შორის ვიყავი მეც".

რუსეთის სამხატვრო აკადემიის მომავალ პრეზიდენტს ბედი ყოველთვის ასე არ სწყალობდა. მაგალითად, ახალგაზრდა მხატვარი სადამოუნო მოხვედრიდან ბოლო მომენტში მოხსნეს. მოსკოვიდან მონველმა უდალდესმა კომისიამ დაიწინა იმპრესიონიზმის სტილში შესრულებული ტილო. მოტივი ერთადერთი იყო

- მომავალი საბჭოთა მხატვრები უნდა ხატებდნენ მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის სტილში. თუმცა, სწორედ მხატვრული აზროვნების ასეთმა "არასანქცირებულმა" მეთოდმა მოუტანა დიდება ზურაბ წერეთელს, რომელიც ერთდროულად ფერმწერი, სკულპტორი, დიზაინერი და არქიტექტორია. ზურაბ წერეთელმა მოხატა კურორტი ბიჭვინთა, შემდეგ ააშენა საბავშვო ქალაქი ალფორში, რისთვისაც ლენინის პრემია მიანიჭეს. ლენინის მშობლიურ ქალაქს - ულიანოვს კი, ბელადის ქანდაკების ნაცვლად, უსახლოვრა ფერადი მოზაიკით მოხატული არჩვეულებრივი აუზი. ამ ნამუშევრისთვის წერეთელმა სახელმწიფო პრემია მიიღო. დღევანდელი წერეთლის ნამუშევრები მსოფლიოს მრავალ ქალაქს ამშვენებს. მხოლოდ შვეიცარულ შტატებში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მხატვარმა რამდენიმე მსხვილი პროექტი განახორციელა. შექმნა სამი მუზეუმი - ერთ-ერთ მათგანში იანერის ბოლოს წერეთელი უჭველო ექსპოზიციის გამართვას აპირებს - გვემავს, გამოფინოს მეგობრების სკულპტურები. მეგობრებს შორის კი არიან: ბელა ახალდორა, გალინა ვოლკევი, ვლადიმირ სპივაკოვი, ანდრეი ვოზნესენსკი და სხვები. უდალდესმა კომისიამ დაიწინა იმპრესიონიზმის სტილში შესრულებული ტილო. მოტივი ერთადერთი იყო

ლონდონი - ჰოლივუდის ავროპული ფილიალი

ბრიტანული გაზეთები ხშირად დაჰკრავენ ხოლმე განგაშის ზარს, როდესაც საქმე ბრიტანული იდეალების შელახვას ეხება. ბოლო დროს იდეალების შელახვაზე ბრიტანულ კინოს შეხედვა, შეურაცხველი მოგვითხრობდა კი "გარდინა" გადამწვითა.

ახალი ამბავი ასეთია: ბოლო პერიოდში ინგლისში სულ უფრო მეტ პოლიფილმურ ფილმს იღებენ. შესაბამისად, შეინარჩუნება განიცდის ბრიტანული კინემატოგრაფია. ადგილობრივი რეჟისორები კი იძულებულნი არიან, ფილმების გადასაღებად აღმოსავლეთ ევროპაში გაემგზავრონ. ამ პროცესში კი იქმნება იმის საფრთხე, რომ ბრიტანეთი ნელ-ნელა პოლიფილმის ევროპულ ფილიალს ემსგავსება.

ცხადია, ეს ტენდენცია მხოლოდ წელს არ გაჩნდია. ალბათ, კარგად გახსოვთ 2000 წლის დიდი ამერიკული ბლოკბასტერები: "მუმიის დაბრუნება", "ლარა კროფტი - სამარხების მძარცველი", "პერლ ჰარბორი"... ისინი სწორედ ლონდონურ სტუდიებშია გადაღებული.

თუმცა, 2003 წელს ყველაზე მეტი მილონის გადასახდა. ბრიტანული ფილმის საბჭოს მონაცემებით, ბოლო 12 თვის განმავლობაში კინოს სფეროში ინვესტიციებმა 900 მილიონ გირაფა სტერლინგს მიაღწია. შარშან მოხდა ერთი უცნაურობაც: ბრიტანეთში უფრო მეტი უცხოური თანამშრომლობით შექმნილი ფილმი გადაიღეს, ვიდრე ბრიტანული (შეფარდება ასეთია: 43 42-ზე).

სწორედ ამიტომ ასკვნის "გარდინის" მიმომხილველი, რომ პოლიფილმურ უკვე კონკრეტული მისამართი კი აღარაა, არამედ განწყობა და ე.წ. "პორტაბელური ინდუსტრია" - მისი გადატანა ყველგან შეიძლება, სადაც პროდიუსერი მოისურვებს.

და მართლაც, პოლიფილმი - ამერიკული კინოს მეტა, თავის დროზე ხომ მხოლოდ იმიტომ წარმოიშვა, რომ ფილმების გადასაღებად ყველაზე იაფი და მოხერხებული ადგილი იყო. ახლა, როგორც ჩანს, დრო შეიცვალა, პოლიფილმი გაძვირდა და ძველი ამერიკული კინოს მემკვიდრეები ახალ პოლიფილმურ ოკეანის გადაღმა აფუცნებენ.

პოლიფილმური ვირუსის ბრიტანეთში გავრცელების მიზეზად კი "გარდინის" ორ გარემოებას ასახელებს. პირველი მემკვიდრეებით მუხტს უნდა უკავშირდებოდეს - ამერიკაში დიდ პატივს სცემენ ბრიტანული კინოს პროფესიონალებსა და იქაურ ცნობილ სტუდიებს - პაინვუდს, მეგროსონსა და ელვისდენს (სხვათა შორის, ეს სტუდია "ჰარი პოტერის" სახლიც გახლავთ); მეორე კი - კომერციულ მიზეზებს: ბრიტანეთში გადაღებულ ფილმებს და მოწყობილობა გაცილებით უფრო იაფად ქირავდება, ვიდრე ამერიკაში. თანაც, მოქმედებს გადასახადის შემსუბუქების 42-ე კანონი, რომელიც საგანგებოდ დიდბიუჯეტის ნარმოებებს მოეხმობს და 12 პროცენტით აიაფებს დიდი ბლოკბასტერების დამზადებას.

აი, ასე იქცევა ბრიტანეთი პოლიფილმულთათვის ფინანსურ სამოთხედ და რა გასაკვირია, რომ ლონდონში განსახორციელებელი ამერიკული პროექტების სია ახალი წლიდანაც უსასრულოდ გაგრძელდება. მეტიც, უკვე ცნობილია რამდენიმე ფილმის სახელი, რომელთა საშუალებითაც ინგლისური სტუდიები და ქუჩები პოლიფილმურ მიზანსცენებზე მალე გარდაიქმნებიან.

მოდი, ერთად გადავხედოთ იმ გრანდიოზული ამერიკული პროექტების მცირე ნუსხას, რომელთა განხორციელება და ფინანსური მოგება ბრიტანეთში მოქნილი საგადასახადო კოდექსის ხარჯზე უნდა მოხდეს. "ალექსანდრე". რეჟისორი: ოლივერ სტოუნი. ბიუჯეტი: 100 მილიონი დოლარი. კომპანია: "უორნერ ბროსი".

სტოუნი ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიას რამდენიმე ხნის წინ შეეჭიდა და ახლა მისი ფილმი ფაინვუდის სტუდიაში ბოლო შესწორებებს გადის. მაკედონელი ის როლს ირლანდიელი მსახიობი კოლინ ფარელი ასრულებს, დედის - ოლიმპიას როლს კი - ანჯელინა ჯოლი (მიუხედავად იმისა, რომ ის ფარელზე მხოლოდ ერთი წლით არის დიდი). ფილმი თამაშობს ენტონი ჰოპკინსიც. ბოლო კვირების განმავლობაში კოლინ ფარელი ლონდონში "საეიის" სასტუმროში ცხოვრობს, ჯოლი კი - "დორჩესტერში". თუმცა, ბულვარული პრესა მაინც გულმოდგინედ ჭორობს, რომ მათ შორის, "ოლიმპიას კომპლექსის გაგლეჩით", მხურვალე რომანია გაჩაღებული. ასე რომ, ფაქტია - ბრიტანეთში პოლიფილმურ ექსპანსიას ერთი სასარგებლო ფაქტორი მაინც აქვს - ბულვარულ პრესას ახალ-ახალი საკვები არასდროს ელევა.

"პრიჯიტ ჯონსი". რეჟისორი: ბიბენ კიდრონი. ბიუჯეტი: 30 მილიონი დოლარი. კომპანია: "მირამაქსი", "სტუდიო კანალი", "უნივერსალი".

2001 წელს გამოსული "პრიჯიტ ჯონსის" შემდეგ ახლა რეჟისორი მის მეორე ნაწილს იღებს. ლონდონელი მარტოხელა ქალის როლს კვლავაც ტეხასელი რეჟისორმა კი ჰუი გრანტი და კოლინ ფარელი უხვევენ. გადაღებები ნიუ-ბერმუთში დაიწყო. ამერიკელი ლონდონური ცხოვრების აღსაწერად ყველაფერს აკეთებენ და უხვად იღებენ შაიდ პარკს, პრემიუმულ ჰილსა და ბოროუს ზაზრობას.

"ჩარლი და შოკოლადის ქარხანა". რეჟისორი: ტიმ ბარტონი. ბიუჯეტი 80 მილიონი დოლარი. კომპანია "უორნერ ბროსი".



ჰუი გრანტი და რენე ზელევეერი "პრიჯიტ ჯონსი"ში.



ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე.



კადრი ფილმიდან "ალექსანდრე".

მუშაობა დაწყებულია. ამერიკელი ბარტონი ბრიტანულ მათი საყვარელი მწერლის, როლდ დლის ცნობილ ნიგნის კინოვერსიას უმზადებს. დლის საოცარი სამყაროს შექმნას (შოკოლადის მდინარის, ტკბილეულობის მთები) ისიც პაინვუდის სტუდიაში ცდილობს. შოკოლადის ქარხნის ბოროტი დირექტორის, ასევე, ამერიკელი ჯონი დევი მოგვევლინება.

"ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე". რეჟისორი ალფონსო კუარონი. ბიუჯეტი 130 მილიონი დოლარი. კომპანია "უორნერ ბროსი".

ეს ფილმი მულტიკულტურული ლონდონის კიდევ ერთი გამოვლინებაა: ნიგნის ავტორი როუდინგი მოტლანდიელია, მსახიობთა დასი - ბრიტანული, რეჟისორი - მექსიკელი, ფული კი - ამერიკული. ლესდენის სტუდიაში "პოტერის" მესამე ფილმზე მუშაობა, თითქმის, სრულდება. გადაღებები კი, ლამის, მთელ ბრიტანეთს მიედო.

"ნიუმტკიცება". რეჟისორი ჯონ მადენი. ბიუჯეტი 25 მილიონი დოლარი. კომპანია "მირამაქსი".

ფილმში გვიხვდება პელტროუ და ენტონი ჰოპკინსი თამაშობენ; სცენარი რებეკა მილერს - არტურ მილერის ქალიშვილს ეკუთვნის; ბრიტანული კინოსტუდია კი ისეა მოწყობილი, რომ ის ძველ ჩიკაგოს დაემსგავსოს. ერთი სიტყვით, ეს პროექტიც ბრიტანულ-პოლიფილმური ძალების საინტერესო ნაზავი გახლავთ.

"The Jacket". ჯონ მებერი. ბიუჯეტი 30 მილიონი დოლარი. კომპანია "სექსუალ ფორმალტ".

ინგლისელი რეჟისორის ამ ფილმს პროდიუსერობას ჯორჯ კლუნისა და სტივენ სოდერბერგის ერთობლივი კომპანია "სექსუალ 8" უხვევს. ნიუ იორკელი ედრიენ ბროდი ასახიერებს შპარსეთის ყურის ომის ვეტერანს, რომელიც მკვლევარობაში ეჭვმიტანილი. გადაღებები იანვარში გლაზგოში იწყება და იქაურები იმედოვნებენ, რომ ეს ამერიკული პროექტი ადგილობრივ ეკონომიკას 6 მილიონი დოლარით გაამდიდრებს.

"მოჩვენება ოპერაში". ჯოელ შუმანერი. ბიუჯეტი 40 მილიონი დოლარი. კომპანია "უორნერ ბროსი" და Really Useful Films (ბრიტანეთი).

მას შემდეგ, რაც "ჩიკაგო" "ოსკარით" დაჯილდოვდა, მიუზიკლები ამერიკელთათვის ძალზედ მოდურ პროდუქციად იქცა, და ენდრიუ ლოდ ვებერის ეს ნაწარმოებიც ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ნიუ იორკელი რეჟისორი ჯოელ შუმანერი ფილმს პაინვუდის სტუდიაში გააკეთებს, როდესაც კი მირანდა რიჩარდსონსა და მინი დრაივერს დააკავებს. ეს პროექტი ამერიკელების ბრიტანეთში შეჭრის, ჯერჯერობით, ბოლო მაგალითია.

2003 წლის საუკეთესო ფილმები

თონა ასათიანი

3 იანვარს ამერიკულმა კინოკრიტიკოსთა ნაციონალმა საზოგადოებამ გამოაცხადა ფილმების სათაურები, რომლებიც 2003 წლის საუკეთესო კინოამუშევრებად მიიჩნევა; დაასახლეს, ასევე, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მსახიობებიც. კინოკრიტიკოსთა ნაციონალური საზოგადოება, როგორც წესი, ნომინანტთა პედს ნიუ იორკში წყვეტს ხოლმე. ეს პატივცემული საზოგადოება აშშ-ს ყველაზე გავლენიანი 55 კრიტიკოსისგან შედგება.

ნომინაციაში "წლის საუკეთესო ფილმი" American Splendor-მა გაიმარჯვა. ფილმი პატარა ადამიანის მუდმივ თემას ეძღვნება. მთავარი გმირი - ჰარი პიკარი - რეალური ისტორიული პერსონაჟია - სანჯალი კლერკი, რომელიც საავადმყოფოს ოფისში მუშაობს; თავისუფალ დროს კომიქსების ხატვებით ატარებს. ცოტა ხანში ის ამ ფანჯრაში აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მხატვარი ხდება.

მისი გარემოცვა - ცოლი, მეგობრები და თანამშრომლები, ყველა ის ადამიანი, ვინც მთავარ პერსონაჟს გარს ეხვევა, კომიქსების გმირები ხდებიან და სწორედ ისინი გაუთქვამენ პიკარს სახელს. კომიქსების ანიმირებული ვარიანტები ეკრანზე ხშირად აისახება. მაქსიმალური დოკუმენტურობის ეფექტის მისაღწევად კადრს მიღმა ხმა რეალურ ჰარი პიკარს ეკუთვნის.

სხვა მხატვრებისგან განსხვავებით, ჰარი პიკარი ზეგმირებს არ იგონებდა. კომიქსებში ის საკუთარი ცხოვრების - მოსაწყენი სა-

მუშაოს, პანანუნა ბინის, დანგრეული ქორწინების შესახებ ჰყვება. თავიდან პიკარის კომიქსების წიგნი წელისნაღში ერთხელ გამოდის, მაგრამ მალე მას ძალიან ბევრი თავყვანისმცემელი გაუჩნდება და ჰარი, გომერ სიმპსონის და ბევისის დავაზე მსგავსად, ლეგენდად იქცევა, იმ განსხვავებით, რომ პიკარი რეალურად არსებობდა და ერთი საავადმყოფოს თანამშრომელი იყო.

ფილმი "ამერიკული ბრწყინვალეობა" იგივე მიზნებს აღწევს, რასაც ნებისმიერი კომიქსი - ის ჩვენი ცხოვრების ყველაზე ბანალური სიტუაციების აპოკალიფსებს; აქ არანაკლები "გაფრენება" ასახულია, ვიდრე ბეტმენის ან სუპერმენის ვიზუალური ეფემი. ეკრანზე ჰარი მსოფლიოში ყველაზე დიდი "ლუზერებისა" და მომავლურბეული ტიპაჟების სრულყოფილი ნერვად წარმოჩინდება. ფილმში ჰარის მსახიობი პოლ რიკი ასახიერებს, რომელიც დაზარალებული პერსონაჟია; თუმცა, დოკუმენტური კადრები წარსულიდან მთავარი გმირს პოსტმოდერნისტულ კოლექტივიზმულ სახედ აქცევს (რეჟისორები ჰარი სპრინგერ ბერმანი და რობერტ პულჩინი).

მეორე ადგილის მფლობელი ფილმი Mystic River კლინტ ისტუდის მორიგი რეჟისორული ქმნილებაა. American Splendor-ისგან განსხვავებით, ის მხატვრულია, მაგრამ, ისტუდისეული განსაკუთრებული ინტენსივობის წყალობით, ამერიკელი კრიტიკოსები მასაც "თითქმის დოკუმენტურს" უწოდებენ. "მისტური მდინარე" თორიერის ფანრს მეტყუინება, სადაც საკუთარი საფრთხეების წარმატებული მსა-

ხიობი (შონ პენი, კევინ ბეკონი და ტიმ რობინსი) თამაშობს. მათი გმირები პოსტმოდერნიზმის ბრძოლაში არიან. ფილმის დასაწყისში ერთ-ერთი მათგანი (რობინსის გმირი) ორი მოძალადის მსხვერპლად ხდება. კვანძი 20 წლის შემდეგ იხსნება, როცა კევინ ბეკონის გმირის ქალიშვილს მხეცურად მოკლულს იპოვიან. შონ პენი პოლიციელის როლშია. ის საკუთარ პოლიციელის როლშია. ის საკუთარ პოლიციელის როლშია. ის საკუთარ პოლიციელის როლშია.

ნომინაციაში "საუკეთესო ფილმი" მესამე ადგილი რომანტიკული კომედიას Lost in Translation-ს ერგო, რომლის რეჟისორი სოფიო კოპოლაა. მან სახელი გაითქვა სადღეობით ფილმით - "თვითმკვლელი ქალიშვილები". მოქმედება ტოკიოში მიმდინარეობს, სადაც ერთმანეთს მოხვედრული კინოვარსკვლავი (ბილ მიურეი) და ახალგაზრდა გოგონა (სკარლეტ იოჰანსონი) ერთმანეთს ხვდებიან. უცხო ქალაქში ისინი აჩაღებენ რომანს, რომელიც არაფრით მთავრდება; ბოლო კადრებში გმირები ერთმანეთს რაღაცას უზღერძებენ, რაც მაყურებელს არ ეძინის, მუმდე კი ორივე თავ-თავიანთ ცხოვრებას უბრუნდება. ამ ფილმში მთავარი როლისთვის მიურეიმ კინოკრიტიკოსთა ნაციონალური საზოგადოებისგან "2003 წლის საუკეთესო მსახიობის" ნიღბი მიიღო.

პირი საუკეთესო ქალის როლისათვის მწვენიერმა შარლიზ ტერონმა მიიღო, რომელიც ყვითელკბილეობით, საშინელ ქუჩის მეძასასახიერებს ფილმში "მონსტრი". შარლიზის ცნობილი ფლორიდელ მკვლელს ეილინ ბუონროსი თამა-



შობს. ამ ფილმში მსახიობი მხოლოდ გარეგნულად არ გარდაისახება - ის ახერხებს, ყველას მიერ მიტოვებული საბრალო ბავშვის სასტიკ მკვლელობა განსხვავდეს. თავად ტერონი "მონსტრში" ნაკუთარ თამაშს პილარი სევენის საშუალებით ადარებს ("ბიჭები არ ტრიავენ"), რომელიც და უკანასკნელმა "ოსკარი" მიიღო.

საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი აკი კაურისმიაკის "ადამიანი წარსულის გარეშე" გახდა. ფილმის გმირი პელისკიმი აღმოჩნდება, სადაც მას ჩასვლისთანავე სცემენ; ის მესიერებას დაკარგავს და ქალაქის ყველაზე მდაბიო ფენაში მოხვდება. ასეთი გაუსაძლისი სიტუაციაში მიუხედავად, პერსონაჟი სიყვარულს პოულობს - ახალგაზრდა გოგონას, რომელიც ხსნის არ-მიაში მუშაობს. მოახლოვდავი სიუჟეტის მიუხედავად, ბერმა სხვა ქვეყნის კრიტიკოსმა ფილმი განეულად და მოსაწყენად მიიჩნია.

ძირითადად, კინოკრიტიკოსთა ნაციონალური საზოგადოების ნეგატიური მოსაზრება ამერიკული კინოკადემიაც ითვალისწინებს - მაგალითად, 2003 წელს პატარა ქანდაკება საუკეთესო რეჟისორისთვის მიიღო რომან პოლანსკიმ, რომის "პიანისტ" კინოკრიტიკოსთა საზოგადოების მიერაც საუკეთესო ფილმად იყო მიჩნეული. ამჯერად კი "ოსკარი-2004"-ის უკვე ცნობილი ნომინანტია სიაში ვერც "ამერიკული ბრწყინვალეობა", ვერც "მისტური მდინარე" და ვერც "თავადამანი დაკარგული" ვერ მოხვდა. ასაბიეროდ, სიაში შევიდა - "პიტერი პენი", "ტერმინატორი-3" და "ადამიანები იქს-2".

ჩემი ცხოვრება სტადიონს მიღმა

რონალდოს ყველაზე გულახდილი, ინტიმური ინტერვიუ

ნიმე პირველი

თამაშად შეიძლება ითქვას, რომ მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო ის ფეხბურთელია, რომლის შესახებ ფანებმა თითქმის ყველაფერი იციან. რონალდოს სახელი საყოველთაოდ ცნობილია, მისი საფირმო ლიმიტი ყველა ფირმისა თუ კომპანიისთვის სანატრელი რეკლამაა, რონალდოს გამოჩენა სარეკლამო აბრაზე ნებისმიერი პროდუქციის უსწრაფესი გასაღების გარანტიაა. რონალდოს ხათრით ძალიან ბევრი არამილანელი და არაიტალიელი გულშემატკივრობდა "ინტერს". "ფენომენის" მადრიდში გადასვლის შემდეგ კი უკვე "რეალის" ფანების არმია გაიზარდა ერთიორად. საზოგადოებას ყველაფერი აინტერესებს ბრაზილიელი ტალანტის შესახებ. მისი პირადი ცხოვრების პიკანტური დეტალებიც კი ვერ რჩება დაფარული. რონალდოს ურთიერთობა ჯერ სუზანა ვერნერთან, მერე კი მილუნა დომინგოთან საქვეყნოდ იყო აფიშირებული. რონალდოს უბედურებული "პასიუონი სექსი" ლამის მივლი მსოფლიოს სახალხო განსჯის საგანი გახდა. ესპანელი და იტალიელი ჟურნალისტები დეტალურად განიხილავდნენ ასეთი ტექსტური ცხოვრების დადებით და უარყოფით მხარეებს ფეხბურთის გარდასარტყელისთვის, რომელსაც თამაშის წინ არ ჰქონდა დიდი ენერჯის დახარჯვის უფლება. ბოლოს "ფენომენის" ქართული მეტყობა მომხრეა და რონალდოს ინტერვიუ კაპიტანური და სახელგანთქმული მებრუნე ნახევრისთვის ყველა სურვილის დაკმაყოფილება მასთან გაყრა აშკარაა. რატომაც არა, იმ დროს მიღწეა უკვე ლამის რონალდოსთვის ცნობილი პიროვნება იყო. იტალიური "ფიამა მონტას" ყველაზე ძვირად ღირებული ქალი ფეხბურთელი ევროპაში მეტად პოპულარულია, რონალდოს გავრდილი გატარებულმა სამმა წელისაღმა მილუნას იმდენად გაუთქვა სახელი, რომ მას ახლა დამოუკიდებლად შეუძლია კარიერის წარმართვა. რაღაში სჭირდება ისეთი ოჯახი, რომლის ერთი წევრი მადრიდში ცხოვრობს, მეორე - მილანში, კვირამი მხოლოდ ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს და მაშინაც უსიამოვნებები მოსდით?



კორესპონდენტი და რესპონდენტი: ფერნანდა ლიმა და რონალდო.

მილუნა რონალდოს გამოეხატა და "ფენომენი" ყველა ქალისთვის სასურველ მარტოხელა მამაკაცად იქცა. თუმცა, რონალდო არც დიდ იყო ერთგულების ეტლი. ალბათ, ყველას კარგად გასსეთ მისი განხარგრეული ადვოკატი მილანში მცხოვრებ უკრინელო პორნოგრაფიკალა აქსანასთან, რომელსაც იტალიაში "აქსენს" ეძახიან. რონალდოსთან დროსტარება ნამდვილად არ იყო უბრალო რამ. აქსენსა შეესაბამებოდა ციკლი, რომ ამით პრესის ყურადღებას მიიქცევდა და კიდევ უფრო გაითქვამდა სახელს. ამიტომაც არაფერი დახალა და ჟურნალისტებს



კორესპონდენტი და რესპონდენტი: ფერნანდა ლიმა და რონალდო.

დაწვრილებით უამბო, თუ როგორ იყო "ფენომენი" ლონინში. თუ აქსენს დაეფრებოდა, სექსი რონალდოსთან სულაც არ ყოფილა ისეთი არაჩვეულებრივი, როგორც მისი თამაში მოედანზე...

აქამდე მუდამ ისე გამოდიოდა ხოლმე, რომ სხვები ყვებოდნენ "ფენომენის" სექსუალურ ცხოვრებაზე. ახლა კი პირქით მოხდა - ბრაზილიელმა ტელეწამყვანმა ფერნანდა ლიმამ იმდენი მოახერხა, რომ რონალდოს ინტერვიუ ჩამოართვა და გულწრფელად ალაპარაკა ინტერვიუ საკითხებზე. რონალდოს, ალბათ, ფერნანდას მომხიბვლებლად თუ ამოადგმევინა ენა - ჩვეულებრივ ის ხომ მეტად მოკრძალებული და თავდაჭერილია ინტერვიუს დროს. ფერნანდა ლიმა მეტად მოთამბყვადი ქალია. ადრე მიმდგომ იყო, ახლა კი ბრაზილიური MTV-ის სახე გახლავთ. ფერნანდა რონალდოს დაუკავშირდა და გადაცემაში მოხანით ლიბობს მიღება სთხოვა, თან გააფრთხილა: მის პროგრამაში სიტყვაც არ უნდა ყოფილიყო ნათქვამი ფეხბურთეზე, თამაშის ტაქტიკაზე, "ინტერზე", "რეალზე", რონალდოს სპორტულ ნაწარმებზე... შეთვალა ეს-მოდელს "ფენომენთან" მხოლოდ ერთ თემაზე სურდა საუბარი: სექსზე! რონალდო დათანხმდა. ასე შედგა ის ინტერვიუ, რომლის ფრაგმენტებსაც ახლა ვთავაზობთ, თუმცა, ფერნანდა ცხვენებს ას მინც ვერ გაუძლო და რონალდოს ისეთი კითხვებიც დაუსვა, რასაც სექსთან არაერთი კომპირი არ ჰქონდა და "ფენომენის" ყოველდღიურ ცხოვრებას შეეხებოდა. ფეხბურთელი ყველა კითხვაზე ხალისით პასუხობდა. ასეთი გულახდილი რონალდო, ალბათ, არასოდეს ყოფილა...



კორესპონდენტი და რესპონდენტი: ფერნანდა ლიმა და რონალდო.

- ოდესმე თუ გამოსულხარ ქუჩაში შენიღბული?

- არასოდეს. მე არ ვლიზინდები, როცა ქუჩაში მცხოვრე. თუმცა, ზოგჯერ ვცდილობ, არ გამოვჩნდები ხალხმრავალ ადგილებში - არ დავდივარ საყიდლებზე, კინოში, ხალხით სავსე რესტორნებში. აროპორტშიც ვცდილობ, შეუმჩვევლად გავიარო რეგისტრაციას. არ მიყვარს მულოდნელ სიტუაციებში აღმოჩენა.

- რას გააკეთებ, როცა 35 წლის გახვები?

- დავტექნიკური ცხოვრებით, რაც აქამდე არასოდეს გამიკეთებია და, ალბათ, ვერც გავაკეთებ. სანამ ფეხბურთის ვიამაპობ. ხშირად ვიქნები ჩემს შვილთან და შევეცდები, თითოეული დღე ჩემს ცხოვრებაში ბედნიერი იყოს.

- რა გაკლია ცხოვრებაში?

- მატერიულად არაფერი. ნამდვილად ყველაფერი მაქვს, რაც მსურს. მინდა, შევინარჩუნო წონასწორობა და მუდამ ბედნიერი ვიყო.

- პირველი კონცა კიდევ გახსოვს?

- თხუთმეტი წლის ვიყავი, "კრუსეიროს" ახალგაზრდულ გუნდში ვიამაპობდი...

- მოგვინდა?

- ძალიან (ცივიანება).

- პირველი სექსუალური გამოცდილება როგორ იყო?

- სამწიფი. არ ვიცი, რა უნდა მექნა. გოგონა ჩემზე უფრო გამოუცდილი იყო. ორივენი ძალიან ახალგაზრდები ვიყავით... მას მეტად აღარ შეეხვედრებოდა, მაგრამ ხშირად მახსენდება ხოლმე. ორივენი ერთ დღეს ვართ დაბადებულები, ერთ თვეს და ერთ წელს. უცნაურია, არა?

- მამაკაცისგან არასოდეს მიგიღია ნინადადემა? ალბათ, ჰომოსექსუალისტებსაც მოსწონხარ...

- ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

- ვინ იყო ახალგაზრდობაში შენი ერთიკული ოცნებების ქალი?

- შუმა, ბრაზილიელი მოდელი და მოუგერი. ერთხანს იმდენად მომიწონდა ეს შთამბეჭდავი ქეჩა ქალი, რომ შევიცდი კი მიწოდდა მისად.

- ოდესმე თამაშის წინ თუ გქონია სექსი?

- ჩვეულებრივ, მაქჩის წინ მუდამ გვაკონტროლებენ ხოლმე, თუმცა, რამდენჯერმე ასეც მოხდა. სექსის შემდეგ მუდამ უკეთესად ვიამაპობ.

- როცა მარტო ხარ, შექაბიან ხდები?

- არა. ხშირად ვარ მარტო. ძალიან მომწონს გასართობად წასვლა, ვინმეს გაგნობა და შეცდენის ხელოვნება.

- ვინ უფრო მოგწონს - წმინდანი თუ შეჭავი?

- ლმერთი, რა ვთხვა... ალბათ, ორივე.

- რომანტიკული თუ ემანსიპირებელი?

- რომანტიკული.

- ქეჩა თუ შავგვრემანი?

- ქეჩა.

- მკერდი თუ უკანალი?

- სკერდი.

- სილიკონის თუ ნამდვილი?

- არა აქვს მნიშვნელობა.

- როცა უცნობ ქალს ხედავ, პირველად რა იყრბის შენს ყურადღებას?

- ჯერ სახე, შემდეგ გავა და, თუ ძალიან ჩქარა არ მიღის, დანარჩენის ნანახობაც. ძალიან მომწონს მინიკაზინი და მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქალები.

- რომელი ეროვნების ქალები გიკრებია?

- ბრაზილიელები, რადგან მათ უკეთესად ვუგებ.

- კვირაში რამდენჯერ?

- ვერ დავიგავ.

- კვირაში რამდენჯერ გაქვს სექსი?

- არ ვიცი, თავს არ ვიზულდავ. ხან სამჯერ, ხან მეტჯერ, ხან კი სულაც ერთხელ.

- შენი სექსუალური ფანტაზია?

- გოწი, ყველა ფანტაზია უკვე დაიკამაყოფილე. ადრე ძალიან მინდოდა, ორ ქალთან ერთდროულად მქონოდა სექსი.

- ორგაზმი თუ მიგილია მონანელი?

- შენ რა, ჩემი იმიჯის განადგურება გინდა?

- რაა თუ განიციდა ოდესმე?

- კი, მაგრამ არ გეტყვი, როდის და ვისთან.

- საერთოდ როგორი ხარ ლოცინში?

- არ შემიძლია საკუთარი თავის შეფასება. მირჩენია, სხვისგან მოვიძინო, როგორ ვარ.

- კარგი, მაგრამ მე არასოდეს ვწოლივარ შენთან და არ ვიცი, რა შეგიძლია. აბა, როგორ შეეფასო?

- მაშინ იმას ჰკითხე, ვისაც ჰქონია ჩემთან ურთიერთობა.

- ის მინც მითხარი, პიკს როდის აღწევ...

- ათი წუთის შემდეგ საუკეთესო ფორმაში ვარ. გოწი, ყველა კითხვას ვუპასუხებ. ინტერვიუ დამთავრებულია?

- კი, კარგად იყავი!

აპა ღმონი

უკვე ტრადიციად იქცა, რომ ბრაზილიელი რივალდოს მიერ კლუბის შეცვლა ხანგრძლივი დროით იწველება. ასე იყო მაშინ, როდესაც ის "პარატიკოს" მიდოდა, ასე იყო ახლაც, როდესაც ის "მილანიდან" წამოვიდა. იტალიურ კლუბთან კონტრაქტი მან ორჯერ გახვეტიტა. "მილანიდან" გამოშვებებთან რივალდომ პირველად შემოდგომაზე სცადა, თუმცა, ორივე დღის შემდეგ მაინც დარჩენა აშკარაა. ხოლო ერთი თვის წინათ "მილანის" ხელმძღვანელებიც და თავად ფეხბურთელიც დაწმუნდნენ, რომ მათი გზები უნდა გაყრილიყო.

რვა წლის შემდეგ რივალდო სამომხლოს უბრუნდება

Siemens-მა "კრუსეიროს" მსოფლიო ჩემპიონი "უყიდა"

არ უიჯიან. იქაურმა "ალ-იტალიამ" რივალდოს გადაბირება განიზრახა. ეს სულ სამოედ დღის წინათ ხდებოდა. მიველი მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ჯერ კიდევ ვაშიწმინდნი იუწყებოდნენ, რომ რივალდო "ალ-იტალიას" წინადადებას დათანხმდა. მაგრამ კვირას ფეხბურთელის ავენტმა, კარლოს არინიმ ეს ინფორმაცია კონტეროულად უარყო. "რივალდო არ არის ის ადამიანი, რომელიც ფულსითვის თავის გვემებს ცვლის", - განაცხადა არინიმ და კიდევ ერთხელ მეგვახსენდა, რომ რივალდოს ბრაზილიაში დაბრუნება ჰქონდა გადწყვეტილი. აგენტის ინფორმაციით, მისი კლიენტით "კრუსეირო" და "პოტაფოგო" იყენებდნენ ინტერესებული.

რივალდო, მართლაც, არ ყოფილა "გამყიდველი". "ალ-იტალიაში" მას ხუთი თვინი კონტრაქტს სთავაზობდა და ამ ხნის განმავლობაში სამ მილიონ ევროს გადაუხდია ხელფასის სახით. ასეთი სარფიანი კონტრაქტის მიუხედავად, არინის სიტყვების მართალი აღმოჩნდა - რივალდო სამომხლოში დაბრუნდა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ 31 წლის რივალდომ ბრაზილიის ახლად გამომცხვარ ჩემპიონთან, ბელუ ორიზონტეს "კრუსეიროსთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამის შესახებ თავად "კრუსეიროს" პრესსამსახურიც იუწყება. "როგორც იქნა, რივალდოს ტრანსფერის სერიალი დასრულდა!" - წერდა გაზეთი Estado-ს გუმინდელი ნომერი.

თავად ფეხბურთელის მეგობრების თქმით, ბრაზილიაში დაბრუნება რივალდოს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. მას საკუთარი ოჯახის გვერდით და ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელთა ახლოს სურს იყვნა, რათა "სეულასოს" ძირითად შემადგენლობაში ადგარი არ დაკარგოს.

ასე და ამრიგად, რეალობაში ევროპული ვიოაჟის შემდეგ რივალდო საკუთარ ფესვებზე უბრუნდება. "უბრთოდ ბედნიერი ვარ, რომ კვლავ შემიძლია ჩემს სამომხლოში თამაში", - განაცხადა რივალდომ და განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტით, რომ მისი ახალი კლუბი სწორედ "კრუსეირო" აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ "კრუსეიროს" ახლანდელ მწვრთნელთა, განდერლე მუშენბურგოსთან რივალდოს განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა აქვს. 1994 წელს, როდესაც ის

"კრუსეირომ" მოახერხა. Siemens-მა რივალდო დაიბრუნა "კრუსეიროს" "უყიდა" და არა საბრალო "სან პაულუსი". ახლად გაფორმებული კონტრაქტი რივალდოსთვის იმიოაც არის სარფიანი, რომ ამ ხელშეკრულებაში ერთი საინტერესო პუნქტი შეტანლია. თუ პირველი ექვსი თვის განმავლობაში რივალდო რომელიმე ქლიური ევროპული კლუბის წინადადებას მიიღებს, მას შეუძლია, "კრუსეიროსთან" კონტრაქტი განყვიტოს.


ფეხბურთის საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის "იუვენტუსის" თავდამსხმელმა, დავიდ ტრევეგემ თავისი კლუბის ხელმძღვანელებთან ულტიმატუმი წაუყენა. თუ 2004 წლის ივნისამდე მას ახალ კონტრაქტს არ შესთავაზებენ და ამ კონტრაქტის თანახმად გაორმაგებული ხელფასს არ მიიღებს, ტრევეგე "იუვენტუსს" მიატოვებს. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელის გადაბირებით ძალიან არის დაინტერესებული რომან აბრამოვიჩი.

რივალდოს მსურველთა შორის მოსკოვის "სპარტაკიც" გამოიწინა, მაგრამ ამ კლუბის იტალიელმა მწვრთნელმა, ნევიო სკალამ ფეხბურთელისთვის მეტად შეურაცხმყოფელი ფრანგული აცნობა საზოგადოებას იმის შესახებ, რომ რივალდო არ სჭირდება: "რივალდო კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მას ჩვენი ტიტოვი სჯობს".

უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში რივალდოს იმდენჯერ გაუცრუედა იმედი, რომ სამომხლოში დაბრუნება და რომელიმე ბრაზილიურ კლუბში თამაში გადაწყვიტა. სამომხლოში მას ყოველთვის ელიან, იქ ის უფრო, თუმცა, მისთვის ხელფასის გადახდა ყველას როდი შეუძლია. "სან პაულუსი" ხელმძღვანელები ვიქრობდნენ, რომ კლუბის ახალი სპონსორის, Siemens-ის დახმარებით შეძლებდნენ რივალდოს გადაბირებას, მაგრამ გაორგება ჩაიშალა - რივალდოს ხელფასს არც Siemens-იდან მიღებული თანხა იყო.

ბრაზილიური კლუბებისგან განსხვავებით, საუდის არაბეთში უფულობას

ფეხბურთის ინვლსური "მიდლსტროსი" 24 წლის თავდამსხმელს, მასიმიო მაკარონეს სურს, მიმდინარე სეზონში დარჩენილი დრო სამომხლოში გაატაროს. "მიდლსტროსი" იტალიელი ლეკიონარი მიჩინეს, რომ სერია A-ში დაბრუნებით ის სწორტული ფორმის აღდგენას შეძლებს. 2002 წელს მაკარონე "მიდლსტროსი" რვა მილიონ გირვანქად შეიძინა "ემპოლიდან" და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდა, თუმცა, მიმდინარე სეზონი მისთვის მეტად ნარუმამეტებელი აღმოჩნდა. ხანგრძლივი ტრავმები, ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვა, "მე საკუთარი თავის რწმენა უნდა დავიბრუნო. ამისთვის კი სათამაშო პრაქტიკა მჭირდება. ჩემს აგენტს უკვე დაავალე, რომელიმე იტალიური კლუბი შემიჩიროს. ამ სეზონს სამომხლოში ჩავბრუნებ, შემდეგ კი "მიდლსტროსი" დაებრუნები", - განაცხადა მაკარონემ.



უკუდგმა

ხიძინა მაყაჰვილი

საქართველოში ხომ ყველაფერი უკუდგმა ხდება?! მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, დამოუკიდებლად განვითარების დონისა, ყველაფერი გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება; ყველგან, მაგრამ არა საქართველოში. აი, თუნდაც ახალი წელი ავიღოთ. დავანებოთ თავი იმას, რომ ორი ახალი წელი გვაქვს: ძველი და ახალი. უბედურება ის არის, რომ ძველი ახალი წელი, ახალი ახალი წლის შემდეგ დგება. შეიძლება ძველი უფრო ახალი იყოს, ვიდრე ახალი?! საქართველოში შეიძლება. მოდი და ამის შემდეგ რამე გააკვირდეს.

გასული საუკუნის 90-ანი წლები მიუღწეველი მსოფლიოში, როგორც წესი და რიგია, 1990 წელს დაიწყო. საქართველოში - არა. საქართველოში 90-ანი წლები ორი წლით ადრე, უფრო ზუსტად, 1988 წლის ნოემბერში დაიწყო. შეიძლება პირდაპირ ასე არ თქმულა, მაგრამ იმ დროს ცვლილებებში და პლედებში გახვეულმა ქართველი ახალგაზრდების ნაწილმა, შიმშილობის შეწყვეტის სანაცვლოდ, საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვა. მაშინ ეს ამბავი კომუნისტებმა მალე მოაყარეს. მაგრამ საქართველო უკვე 90-ანებში იყო და რა გააჩერებდა?!
ექვსი თვის შემდეგ, ანუ 1989 წლის აპრილი ყველას კარგად ახსოვს და არა მარტო საქართველოში. ეს იყო 90-ანი წლების პირველი სერიოზული მსხვერპლი. ამ ტრაგედიის ერთი დადებითი მომენტი ის იყო, რომ მან მცირე ხნით ერთი გააერთიანა. მაგალითად, მაშინ ხშირად ამბობდნენ - მილიცია ხალხთან იყო (იმ დროისთვის ერთადერთი შემთხვევა ჩვენ სინამდვილეში). მაშინ ძალიან სერიოზული ანტირუსული განწყობა შეიქმნა. არა, რუსებს კი არ ვერჩიდით, უბრალოდ, ჩვენებურად ერთმანეთში ლაპარაკით ვიფხანდით გულს. ამის მიუხედავად, ამ განწყობამ ბევრი შეაშინა. ერთმა ქეთათში ანმა ინგლისელმა, რომელიც ერთი წელი თბილისში ცხოვრობდა, ულვამიტ კი მოუხუცა - ვინმეს რუსი არ ვეგონო. ის კი არ იცოდა, რომ ამ ულვაშით კიდევ უფრო მეტად დაემსგავსა უმდიდრესი კოლონიალური ნარსულის მქონე წინაპრებს.

მაგრამ ისევ ერის გაერთიანებას დავუბრუნდეთ, რომელიც ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა და, ფაქტობრივად, ილუზია აღმოჩნდა. ძალიან მალე ეროვნული მოძრაობა რამდენიმე წელიწადში გაიხილა. ამის მიუხედავად, საბჭოთა წყობის 70 წლიანი ისტორიის პირობებში პირველად ჩატარებულ, შეუდარებლად თავისუფალ არჩევნებში ეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვეს და ხელისუფლების სათავეში ყოფილი დისიდენტი მოვიდა. დისიდენტმა სასწრაფოდ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც თავისთავად სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოსვლას ნიშნავდა. მართალია, ეს ფაქტი რეალობად უფრო მიგვაჩვენებით, 8 თვის შემდეგ დაფიქსირდა, როცა ელცინმა დაშალა სსრკ, მაგრამ მაინამდე ერთი უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: ჯერ კიდევ სსრკ-ს არსებობის პერიოდში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოეყო საკავშიროს. ამ მხრივ, ქართული აბსურდის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად, ფეხბურთის ფედერაცია ცენტრისგან დამოუკიდებელი პირველი ოფიციალური სტრუქტურა გახდა. თუმცა, რა გიკვირთ - საქართველოში ხომ ყველაფერი უკუდგმა ხდება?!
ეს, რაც შეეხება დროის აბსურდულობას საქართველოში. ახლა კი ძალიან მოკლეად ადგილის შესახებ. ისევ ერთი ინგლისელის შემთხვევას გავიხსენებ, რომელიც საქართველოში გამოემგზავრების წინ, ცდილობდა დაედგინა, როგორი ამინდი დახვდებოდა ჩვენს მზიურად მონათლულ დედაქალაქში. მან გადაშალა Times-ის გვერდი, სადაც ამინდის პროგნოზის რუკებია გამოქვეყნებული და ვეროპის რუკაზე საქართველოს ძებნა დაიწყო. რადგან იქ ვერ აღმოაჩინა, აუღელვებლად გადაერთო აზრის ახლო აღმოსავლეთად ცნობილი ტერიტორიებზე, მაგრამ ისევ უშედეგოდ. ძიების შემდეგმა პუნქტმა, რუსეთმა, ისევ გააჩინა, ამიტომ უკვე შემოთვალსაშისნავლა თურქეთი და ყოველ შემთხვევისთვის აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი. საქართველო არსად არ იყო! საბოლოოდ, უკვე აქ ჩამოსულმა, არც თუ ირინის გარეშე, მკითხა - მაინც სად ტრაკში იმყოფება თქვენი საყვარელი საქართველო?!
ის უკვე საკმაოდ კარგად იცნობდა ქართულ კლასიკურ მითოლოგიას, რომ დამებოლენი ჩვენთვის ძალიან მისაღები თქმულებით, რომლის მიხედვითაც ღმერთმა საქართველო მისი უნიკალური ბუნებრივი რესურსების და მდებარეობის გამო, თავის საცხოვრებელ ადგილად აირჩია. ის არა მარტო კლასიკურ, არამედ უახლეს ქართულ მითებზეც მშვენივრად იცნობდა. მან ძალიან კარგად იცოდა მითური მეცხერეების არსებობის შესახებ, ბრწყინვალედ ჰქონდა შესწავლილი მითე-

ბი ნავთობ და გაზსადენების ირგვლივ, ხოლო მისი ფავორიტი იყო საქართველოს მეგობარი ქვეყნების მითი.

ახლა კი ისევ 90-ან წლებს დავუბრუნდეთ, ამჯერად უკვე რეალურს. მამ ასე - პირველი ეროვნული მთავრობა, თავისი ექს-დისიდენტი პრეზიდენტით. დამოუკიდებლობის პირველი ხიბლი: შეწყდა ცენტრალური გათბობა და ელექტროენერჯის საოცარი დეფიციტი შეიქმნა; გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რაც, ფაქტობრივად, იმაში გამოიხატა, რომ საქართველომ მთლიანად დაკარგა კონტროლი ამ რეგიონზე; რუსეთის დასავლეთით, გადაიკეტა სარკინიგზო კვანძი სამტრედიასთან და საქართველო სრულ ბლოკადაში მოექცა; ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩში ფეხბურთში, პირველი გოლი საკუთარ კარში შევარდა; შეიქმნა ეროვნული გვარდია, რომელმაც სასწრაფოდ დაუმორჩილებლობა გამოაცხადა და საკუთარ პრეზიდენტს და რკონში გაიხიზნა; საქართველოს დამოუკიდებლობა ისეთმა ქვეყნებმა ცნეს, რომელთა სახელმწიფოებრიობა არავის ჰქონდა აღიარებული.

ამ უაღრესად დადებითი მომენტების გარდა, დამოუკიდებლობის პირველ წლებს, ცხადია, უარყოფითი მოვლენებიც ახლდა, რაც ბუნებრივად გარდამავალი პერიოდისთვის. პირველ ყოვლისა, ქვეყნის ისტორიაში პირველად დაიწყეს უზენაესი საბჭოს სხდომების პირდაპირი ტელეტრანსლაცია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი პოპულარული შოუ ჩვენს ტელეარხებს დღემდე არ ჰქონიათ. ხალხს, ძირითადად, დებატების კომიში და მოკამათეთა არგუმენტები ამხიარულებდა.

საზოგადოებას გულგრილს არც დისიდენტ-პრეზიდენტის პოლიტიკურად ექსტრავაგანტული საქციელი ტოვებდა. მას ძალიან გაჭირვდა დისიდენტის როლიდან გამოსვლა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისთვის მიმართვის საშუალებები მის ხელში იყო, ის მაინც ვერ იმღიდა თავისას და მთავრობის სასახლის წინ, არსებული ხელისუფლების მხარდასაჭერ მიტინგებს ახყობდა. ის ასაკუთარული როკ-მუსიკოსივით ეტანებოდა მიკროფონს და ეგზალტირებულ პუბლიკას.


საბოლოოდ, ამ პუბლიკის ნაწილმა, ეტყობა ეგზალტირებას ვერ გაუძლო და მათი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება სიძულვილში გადაიზარდა. შედეგად, საზოგადოება ორ დაპირისპირებულ ნაწილად გაიყო. თავიდან ყველაფერი ისეთი კომიკური ურთიერთობად გეგმობდა დაიწყო, როგორც არის, თუნდაც: პრეზიდენტის გარემოცვის უახლოესი წევრი ყოფილი მედოლე და მეტროს დიქტორია; პრეზიდენტმა ეგზალტირებული ცხოველები ზოოპარკიდან საკუთარ ეზოში გადაიყვანა; პარლამენტის ერთ-ერთი ოპოზიციონერი წევრი ჯავანტრანსპორტიორში იყო დაბადებული; ვაჭრობის მინისტრი ყოფილი ჯიხურის გამყიდველი იყო და სხვა მრავალი სისულელე, რომელსაც არავითარ საქმესთან არ ჰქონდა საერთო.

ამ ყველაფერს კი ის მოჰყვა, რომ სიცილ-სიცილში სამოქალაქო ომი დაიწყო. ცხადია, ეს ომი ძალიან ქართული, ანუ ძალიან აბსურდული იყო. გავიგოთ სხვაგან სადმე, რომ ხალხი სამსახურში მისვლამდე, დილაობით ომის საყურებლად წასულიყოს?! ანდა უარესი - დეჩივლოს - დღეს ახლოს არ მივიშვებს, ცუდად ჩანდა! ომზე ცუდი თუ რამე შეძლება იყოს, ალბათ სამოქალაქო ომია. ეს სიმწარე თბილისმა საკუთარ თავზე გამოსცადა.

საბოლოოდ, ეს ომი ორ კვირაში დასრულდა, მაგრამ რა მოგვცა?! გაცივებული პრეზიდენტი, დანგრეული ქალაქი და რაც მთავარია, მსხვერპლი. მაგრამ, ამაზე უარესი ის იყო, რომ საზოგადოება მაინც არ გამოილიანდა. ცხოვრების დონემ უფრო დაბლა დაიწია, ვიდრე დამოუკიდებლობამდე იყო.

ქვეყნის ახალი მეთაურის შემდეგეი საჩუქარი აფხაზეთი იყო. დეპრესია კიდევ უფრო გაძლიერდა. მერე კუმონები შემოვიდა. მერე ჯიხურები. ჯერ ჩვეულებრივი ჯიხურები იყო; ჩვეულებრივი თურქული და ახალი საზღვარგარეთის ნავაგით გამოტყენილი: სამამულო ნარკოების არაყი, რომელიც თუ არ გკლავდა, გაბრმავებდა; ტუალეტის ქალაღდის სოსისი, რადიაციული ძეხვი ბელგიდანი, უცხოურ არყის ეტიკეტთან ბოთლებში ჩასხმული ონკინის წყალი; ვადაგასული ბულგარული "ზან-ზანეკა", თურქული მოკლადის-ფერი ქვიშის ფილა და პლასტმასის ორცხობილა და სხვა მრავალი საოცრება.

მაღევე გაჩნდა არაჩვეულებრივი ჯიხურები - საველტუები. იქ კუმონები იცვლებოდა, ძირითადად რუბლებზე და დოლარებზე. ჯიხურები მარტივი ნარწერა ამშვენებდა: დოლარის საერთაშორისო ნიშანი და ინგლისურად დაწერილი სიტყვა "იქსრინჯ", რაც ქართულად გადაკვირვას ნიშნავს. მთლიანობაში კი, ეს ნიშანი და ნარწერა იძლეოდა სიტყვას



"სექს ჩინჯ", ანუ სექსის შეცვლა. საზიზღარი ადგილი იყო. მათი მფლობელები რომ ვნახე (ცხადია, ყველას არ ვუვლიხსობ), მაშინ მივხვდი, რატომ აღმიძრავდა სიტყვა "ჩინჯი" უარყოფით ემოციებს. ჩვენებურმა ჩარჩებმა თავიანთ ჯიხურებში ისეთი წესები დაადგინეს, მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში რომ ვერ ნარმოიდგენდნენ. რაც უფრო ძველი და გაქუცული იყო ვალუტის ბანკნოტი, მით უფრო უარესი კოეფიციენტით გახურდავებდნენ.

მაგრამ მერე კიდევ უფრო უარესები მოხდა. შეიქმნა ე.წ. სატრასტო კომპანიები. ამ კომპანიებმა კარგად ისარგებლეს საზოგადოების სიღუჭით, სირიყით და სიხარბით და მენაბრების დანაზოგებს ტაიფუნით გადაუარეს. გაკოტრებული "ბიზნესმენები" დატყდნენ. დაზარალებულთა ნაწილი შეეგუა ბედს, ნაწილი კი, ფულის ამოღებაზე აჩალიჩდა. შავებსა საქმე გაუჩნდათ. თვითიკვლელობათა რიცხვი საგრძობლად გაიზარდა.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, ვიდრე დამოუკიდებლობამდე იყო. დეპრესიამ იმძლავრა. ხალხი მიხვდა, რომ პატრონი არ ჰყავდა და გადაწყვიტა, თვითონ მიეხედა თავისი თავისთვის. ნელ-ნელა ჩამოყალიბდა კერძო სექტორი. საზოგადოება ისეთი სფეროებით დაკავდა, რომელიც ადრე მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა იყო. მაგალითად მასმედია ავიღოთ. 90-ანი წლების შუახანებში, საქართველოში ვისაც არ დეზარა, ყველამ საკუთარი გაზეთი გააკეთა და რეგისტრირებული გაზეთების რაოდენობის მიხედვით საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზე გავიდა. უნიშვნელო გამოწვევების გარდა, მათი ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. მერე გაჩნდა მოდა საკუთარი FM რადიოსტაციების ფლობაზე, სადაც მოისმენდი, თუ რა სიმღერას უძღვნიდნენ მკაც, ეკა და შოკა, გიუშას, გიგმას, გიკას და გიგუჩას. ამას მოჰყვა მოდა საკუთარ ტელეარხებზე, სადაც იმის მიხედვით, თუ რა ნივთი იღო სტუდიის ერთადერთ ოთახში, მიხედვით, რა საკითხს ეძღვნებოდა გადაცემა: დიქტორის მაგიდაზე დადებული პომიდორის ნიშნავდა გადაცემას სოფლის მეურნეობის პრობლემებზე, რაგბის ოვალური ბურთი - ფეხბურთის, ანთიბიოტიკის სანთელი - საქართველოს ისტორიას; რუბლის კუბიკი - მეცნიერებას და ჩამქრალი სანთელი - საქართველოს მომავალს.

მალე ყველაფერმა ამან გაიარა. დასაღვთებმა გადაწყვიტა, რომ საქართველოს ეყოფოდა სისხლის გამოშვება და საქართველოში ნელ-ნელა არასამთავრობო სექტორმა დაიწყო ჩამოყალიბება. თბილისში NGO-ების შექმნა დაიწყო. გაჩნდა NGO-ების მოდა და ვისაც საკუთარი გაზეთი, რადიო, ტელევიზია ან პოლიტიკური პარტია არ ჰქონდა, ყველამ NGO გახსნა.

ამ NGO-ების შექმნის იდეა ვითომ ის უნდა ყოფილიყო, რომ ჩამოყალიბდებოდა სამოქალაქო საზოგადოება. სინამდვილეში ჩამოყალიბდა ახალი სოციალური ფენა. ითვლებოდა, რომ ეს ფენა ფლობდა პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობისთვის აუცილებელ ცოდნას, ამერიკულ ინგლისურს და გრანტების მისაღები პროექტების დაწერის უნარს. ზოგიერთი მათგანი ჩინოვნიკად მოეწყო საელჩოებში, მომრავლებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში, უცხოურ მისიებში. თავიანთი საშუალოზე მაღალი შემოსავლების წინაშე პეროვსკაის ბარებში ტყვედნენ. ისინი დემოკრატიას ემსახურებოდნენ და ხელისუფლების შეცვლის მომხრეები იყვნენ.

ხელისუფლების შეცვლის წინააღმდეგი იყო ორი ფენა: კორუპტირებული ჩინოვნიკები და კომინალ-ძალოვანები. კომპიუტერთან მათი ურთიერთობა, ძირითადად თამაშებით შემოიფარგლებოდა. ლინგვისტური მონაცემები - საშუალოზე დაბალი; შემოსავლები - ასტრონომიულად გაუმართლებელი.

ზემოთხსენებულსა და ამ ორ ფენას შორის იყო კიდევ ერთი და მთავარი ფენა. პირველები მას მასას ეძახდნენ, მეორეები - ქაჯები. სინამდვილეში კი ეს იყო საქართველოს რეალური მოსახლეობა. ყველა ეს ფენა მესამე ათასწლეულში ცხოვრებისთვის ემზადებოდა.

მაგრამ მესამე ათასწლეულის დადგომამდე რამდენიმე წლით ადრე მათ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს: როცა მართველობის 25 წლიანი სატყის მქონე ქვეყნის პრეზიდენტმა ფრთაში დაჭრილი ანგელოზი გაითამაშა და პოზიციების განმტკიცების მიზნით გადადგომა გამოაცხადა, მისი ქვემეგრდომები დაგვიძინდნენ და მუხლმოდრეკილებმა დარჩენა სთხოვეს!

ახლაც არ გჯერათ, რომ საქართველოში ყველაფერი უკუდგმა ხდება?! იმის მაგივრად, რომ პრეზიდენტს დაეოქვა ერის წინაშე, პატიება ეთხოვა და გადამდარიყო...

2003 წლის არჩევნებამდე ვერ კიდევ საკმაოდ დრო რჩებოდა.



ჰიპ-ჰოპის გამარჯვება

უკვე მეორე წელია, რაც ჰიპ-ჰოპის ინდუსტრია დიდი წარმატებით სარგებლობს. 2002 წელს ყველაზე კარგად ალბომი The Eminem Show გაიყიდა, 2003-ში კი ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე ემინემის "პროტეჟე", 50 Cent-ია გასული. ამ შემსრულებლის სოლო-დებიუტი 6,5 მილიონ ეგზემპლარად დაიტაცეს.

საერთოდ, ამერიკული მუსიკალური ინდუსტრია გასული წლის შედეგებს არ უჩივის. თავად განსაჯეთ:

1. 50 Cent, "Get Rich or Die Tryin'" (6,5 მილიონი)
 2. ნორა ჯონსი, "Come Away with Me" (5,1 მილიონი)
 3. ჯგუფი "ლინკინ პარკ", "Metora" (3,5 მილიონი)
 4. ჯგუფი "ივენსენს", "Fallen" (3,4 მილიონი)
 5. ჯგუფი "აუთქასტ", "Speakerboxx/The Love Below" (3,1 მილიონი)
 6. ბეიონსი, "Dangerously in Love" (2,5 მილიონი)
 7. არ კელი, "Chocolate Factory" (2,4 მილიონი)
 8. პილარი დიუფი, "Metamorphosis" (2,4 მილიონი)
 9. ტობი კითი, "Schock'n Y'All" (2,3 მილიონი)
 10. ჯგუფი "ქოლდბლეი", "Rush of Blood to the Head" (2,2 მილიონი)
- აი, მაღონა კი დაგვეჩაგრა. მისი American Life ორ მილიონ ცალად ძლივს გაიყიდა და ათეულშიც ვერ მოხვდა.

მოსაწყენი იმიჯი



ავსტრალიელი პოპ-მომღერალი, კაილი მინოუგი, სექს-კერვის იმიჯით უკმაყოფილო ყოფილა. "მე 35 წლისა ვარ და 16 წელია, პოპის სამყაროში ვტრიალებ. მე არ მინდა, რომ ჩემი ფირფიტები მხოლოდ მკერდისა და უკანალის წყალობით იყიდებოდეს," უთხრა მან გაზეთ "ბილდ ამ ზონტაგის" კორესპონდენტებს. მართალია, კაილის თავ-

ისი სხეული უწინდებურად მოსწონს, უბრალოდ, ცოტა მოიწყინა. მინოუგმა კატეგორიულად უარყო ქორეები თავისი ორსულობის შესახებ. მისი მეგობრების უმრავლესობას შეილება ჰყავს, და კაილიც დარწმუნებულია, რომ დედობა მშვენიერი განცდაა. "მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, არ ვიცი, მინდა შეილის ყოლა თუ - არა," თქვა მან.

განათხოვარი თინეიჯერი

პოპ-თინეიჯერის იმიჯი ძნელი მოსაშორებელი ყოფილა. ასე, გასულ შაბათს უგონოდ დამთვრალი ბრიტნი სპირსი ლას ვეგასში თავის სიყრმის მეგობარს ცოლად გაჰყვა, ორშაბათს კი თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი მომხდარა. არადა, მისი მეუღლე რეალურად არსებობს, ის 22 წლის ჯეისონ ალექსანდერია.

შერთებული შტატების პრესა ძალიან ერთობა. წერენ, რომ ბრიტნის უკანონო განქორწინება ხმის ჩამწერი კომპანიის, Jive Records-ის ოინებია. ასე თუ ისე, ითვლება, რომ გაირყრა ზე ჩატარებული ქორწინების ცერემონია ზუმრობა იყო და მეტი არაფერი.



გავვთა კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი "ჯანმრთელი ოჯახი"

გთავაზობთ

პედიატრიულ სამსახურს (0-16 წლამდე), აცრებს (მათ შორის გრიპის საწინააღმდეგო), სრულ ექოსკოპურ გამოკვლევას.

თქვენს სამსახურში არიან კვალიფიცირებული სპეციალისტები თბილისის წამყვანი კლინიკებიდან.

მისამართი: ლ. ქიანელის ქ. 18.
ტელ: 98 23 37.

შეიძინეთ გაერთიანებული მოიგეთ!

ფორმა "დენიუსი" ცხარეული წარმატებას.

სალონი დეკორატიული

წამალი "სალზინო"

ქართული ფლორის სამოცრაპა

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გასპირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსადენი ზერელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამოწვანა; აგრეთვე ტკივილი ნელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მომლობობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალზინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალზინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალზინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღლის ბუშტის (ქოლცისტიტი), პეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალზინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალზინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალზინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ ავთიკებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

გვესაჭიროება!

ინგლისურის და კომპიუტერის მცოდნე
ფარმაცევტები და ექიმები.
ტელ: 95 90 60, 899 166897

საბავშვო გაზეთი 12-მღა

გართობა ბირაჟის შედეგები

04002876
04000812
04003436
04003016
04003280
04002055
04001540
04002010
04002261
04000481